ბრძოლებტარებოს აუცილა კვუშნისა, შეუართდეთ!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 44 (5444) | ხუთშაბათი, 23 თებერვალი 1939 წ. | ფასი 10 კაპ.

მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის არსებობის XXI წელი

წითელი არმიისა და წითელი ფლოტის გმირ მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს,—ჩვენი დიადი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებს, ლენინ-სტალინის პარტიის უსაზღვროდ ერთგულთ, სოციალიზმის ქვეყნის საიმედო დამცველთ—მხურვალე ბოლშევიკური სალამი!

ამხანაგები ი. ბ. სტალინი და კ. ე. ვოროშილოვი

(სურათი გადაღებულია 1936 წლის 27 იანვარს კრემლში). ფოტო ფ. კისლოვისა

საქ. კ. პ. (ბ) XII ყრილობის დელეგაციების საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ

საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობა

გაიხსნება **26** თებერვალს, საღამოს **7** საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში

ყრილობის დღის წესრიგი:

1. ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების თეზისებზე საკ. კ. პ. (ბ) **XVIII** ყრილობისათვის — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

2. ამხანაგ ჟდანოვის მოხსენების თეზისებზე საკ. კ. პ. (ბ) **XVIII** ყრილობისათვის — საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შესახებ.

3. საკ. კ. პ. (ბ) **XVIII** ყრილობისათვის დელეგატების არჩევნები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი

კ. ჩარკვიანი

○

ყრილობის დელეგატებზე მანდატების გაცემა იწარმოებს 24 და 25 თებერვალს დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე და 26 თებერვალს დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე ორგკომისიის შენობაში (შიო ჩიტაძის ქ. № 5, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის შენობის პირდაპირ).

ორგკომისიის ტელეფონები: 3-66-20, 3-19-82.

„საბჭოთა ყოველნაირად გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, წითელი ფლოტი, წითელი ავიაცია, თავდაცვა-ავიაქიმი. საბჭოთა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა არავითარ „შემთხვევითობას“ და ჩვენი ბარეშე მტრების არავითარ ოინებს არ შევხვდეთ მოუმზადებელნი“...

ი. სტალინი.

*

მუხლი 132. საკავშირო სამხედრო ვალდებულება წარმოადგენს კანონს.

სამხედრო სამსახური მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში წარმოადგენს სსრ კავშირის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას.

მუხლი 133. სამშობლოს დაცვა არის სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმინდათა-წმინდა მოვალეობა. სამშობლოს ღალატი: ფიცის გატეხა, მტრის მხარეზე გადასვლა, სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებისათვის ზიანის მიყენება, ჯაშუშობა — ისჯება კანონის მთელი სისასტიკით, როგორც ყველაზე მძიმე დანაშაული.

სსრკ კონსტიტუციიდან.

საბჭოთა ხალხის უძლეველი არმია

დღეს XXI წელი შეუსრულდა მძლავრი საბჭოთა ხალხის პირმშოს—ჩვენს სახელოვან წითელ არმიას და მამაც სამხედრო-საზღვაო ფლოტს. წითელ არმიასთან და წითელ ფლოტთან ერთად ამ შესანიშნავ თარიღს უდიდესი აღფრთოვანებით ზეიმობს მთელი საბჭოთა ხალხი, რადგან სოციალიზმის ქვეყანაში ხალხი და არმია ერთ განუყოფელ მთელს წარმოადგენს; წითელი არმიის გმირული ისტორია მთელი შეიარაღებული საბჭოთა ხალხის სახელოვან ბრძოლათა და დიად გამარჯვებათა ისტორიაა!

საბჭოთა ხალხის არმია ჭეშმარიტად უძლეველია, რადგან იგი, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობდა, არის განთავისუფლებული მუშებისა და გლეხების არმია, ჩვენი ქვეყნის მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა შრომის არმია, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისა და ყველა ქვეყნის მუშების არმია.

საბჭოთა ხალხის არმია უძლეველია, რადგან იგი შეჰქმნა ბოლშევიკთა დიადმა პარტიამ, იგი შეჰქმნეს და მრავალრიცხოვან ქარიშხლიან ბრძოლებში გამოაწრთეს პროლეტარული რევოლუციის დიდმა სარდლებმა—ლენინმა და სტალინმა.

„პარტია ამაყობს, რომ მან შესძლო შეექმნა მუშათა და გლეხთა დახმარებით მსოფლიოში პირველი წითელი არმია, რომელიც უდიდეს ბრძოლებში იცავდა და დაიცვა მუშათა და გლეხთა თავისუფლება.

პარტია ამაყობს, რომ წითელმა არმიამ შესძლო ღირსეულად გაევლო მძიმე გზა უსასტიკესი ბრძოლებისა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის და გლეხობის შინაურ და გარეშე მტრებთან, რომ მან შესძლო ჩამოყალიბებულიყო უდიდეს მებრძოლ რევოლუციურ ძალად მუშათა კლასის მტრების თავზარდასაცემად, ყველა ჩაგრულთა და დამონებულთა სასიხარულოდ“ (სტალინი).

სუსხიანი სამოქალაქო ომის ეპოქაში, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას შემოესია 14 იმპერიალისტური სახელმწიფო, წითელმა არმიამ ჭეშმარიტი გმირობისა და სიმამაცის მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა შშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში. წითელი არმიის ნახევრად შიშველი, მშიერი და ცუდად შეიარაღებული, მაგრამ ხალხის მტრებისადმი შურისძიების გრძნობით ანთებული, გმირული ნაწილები ერთიმეორეზე ამარცხებდნენ თეთრგვარდიელთა თავით ფეხამდე შეიარაღებულ ურდოებს.

ბოლომდე გაანადგურა რა ანტანტის მიერ დაქირავებული თეთრგვარდიელი გენერლები და მათი ბელის შემწყობი შინაური კონტრრევოლუციონერები, წითელმა არმიამ უზრუნველჰყო საბჭოთა ხალხის შრომის განგრძლივი, მშვიდობიანი ცხოვრება და ბუშაობის პირობები.

უკვე მე-18 წელია, რაც სსრ კავშირის ხალხი ეწევა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას. ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგად ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი, ნახევრად ქოლონიური და ღატაკი ქვეყნიდან, როგორიც იყო ძველი რუსეთი, გადაიქცა თანამედროვე პირველხარისხოვანი ტექნიკით შეიარაღებული მრეწველობისა და მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობის ქვეყნად, აყვავებული კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ქვეყნად.

სოციალისტური ბრეწველობის არნახულმა ზრდამ, განსაკუთრებით სტალინური ხუთწლედის წარმატებით დამთავრებამ უზრუნველჰყო ჩვენი წითელი არმიისა და წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოძარაგება სწრაფქვავალი საბრძოლო თვითმფრინავებით, საუცხოო არტილერიით, მრისხანე ტანკებით, თანამედროვე სამხედრო ტექნიკის ყოველგვარი იარაღებით.

სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა, რომლის შინაარსი გადმოცემულია ამხ. ვ. მოლოტოვის მოხსენების თეზისებში, ახალ, უაღრესად ფართო პერსპექტივებს შლის ჩვენი ქვეყნის წინაშე. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ჭეშმარიტად გრანდიოზული გეგმის განხორციელება კიდევ უფრო მძლავრს და სრულყოფილს გახდის სოციალიზმის ქვეყნის შეიარაღებას.

მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXI წლისთავის დღესასწაული დაემთხვა სამხედრო ფიცის დადების დღეს. ყველა, ვინც საბრძოლო სამსახურს ეწევა ჩვენი სამშობლოს შეიარაღებულ ძალთა რიგებში, დღეს მიიღებს საზეიმო სამხედრო ფიცს ინდივიდუალურად, ფიცის ტექსტზე საკუთარი ხელმოწერით. ეს არის საბჭოთა პატრიოტიზმის წმინდა გრძნობით გამსჭვალული მებრძოლთა ფიცი.

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოველი მებრძოლი, მეთაური და პოლიტმუშაკი დღეს ფიცს სდებს მუდამ ერთგული იყოს თავისი საყვარელი სამშობლოსი, ვაჟკაცურად დაიცვას იგი ყოველგვარი მტრის მხრით ხელყოფისაგან და თუ საჭირო იქნება, არ დაიშუროს სოციალისტური სამშობლოსათვის თავისი სისხლი და თავისი სიცოცხლე.

ახლა, როდესაც საერთაშორისო ვითარება უაღრესად დაძაბულია, როდესაც კაპიტალისტური მსოფლიო გამალებით ემზადება ახალი იმპერიალისტური ომისათვის, რომელიც უკვე მძვინვარებს ევროპასა და აზიაში, — სოციალიზმის ქვეყნის გმირ დამცველთა ეს დიადი ფიცი გაიმეორებს მრავალი საბჭოთა ხალხის მზადყოფნა ბოლომდე იბრძოლოს კომუნიზმის გამარჯვებისათვის, იგი გაიმეორებს როგორც მრისხანე, დამამფრთხობელი გაფრთხილება იმათ მიმართ, ვინც ფიქრობს დაარღვიოს სსრ კავშირის წმინდათა-წმინდა საზღვრების ხელუხლებლობა.

ამასწინათ იაპონელმა ომის გამჩაღებლებმა, რომლებიც შეეცადნენ ხასანის ტბასთან ხელში ჩაეგდოთ წმინდათა-წმინდა საბჭოთა მიწა-წყლის ნაწილი, ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი მიიღეს. მათ ეს გაკვეთილი დიდხანს ეხსომებათ.

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მე-21 წლისთავის დღესასწაული ტარდება იმ პერიოდში, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება ლენინ-სტალინის მშობლიური პარტიის XVIII ყრილობის ღირსეულად შესახვედრად. ბოლშევიკური პარტიის ამ ისტორიულ ყრილობას საბჭოთა ხალხი ეგებება უდიდესი გამარჯვებებით სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ჩვენი ხალხი დარწმუნებულია თავის მომავალში, რადგან მისი მშვიდობიანი სოციალისტური შრომა დაცულია რკინისა და ფოლადის შეუვალი ჯავშნით, რომელზეც დაიმსხვრევიან კაპიტალისტური მსოფლიოს შავი ძალები.

თუ ვტერი გაბედავს თავს დაესხას გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანას, ჩვენი წითელი არმია და წითელი ფლოტი მას თავს დაატეხენ თავიანთი რკინის რიგების მთელ ძლიერებას და საბჭოთა სამხედრო ტექნიკის მრისხანე, გამანადგურებელ ძალას. და მტერი, როგორც საბჭოთა კავშირის პირველი მარშალი ამხანაგ კ. ვოროშილოვი ამბობს, მოსპობილი იქნება იმავე ტერიტორიაზე, საიდანაც იგი გამოჩნდება.

საბჭოთა ხალხი ფხიზლადაა. მას მტკიცედ უპყრია ხელთ ბასრი მახვილი. დაე ყოვლისშემმუსრავი საბჭოთა იარაღის წინაშე ძრწოდეს მთელი კაპიტალისტური მსოფლიო.

გაუმარჯოს სახელოვან მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და წითელ სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

ახალი სტახანოვური გამარჯვებებით შევხვდეთ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას

სტახანოველთა გამარჯვებები

(ქუთაისი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნები ჩაებნენ წინასაყრილობო შეჯიბრებაში და ძვირფას საჩუქრებს უმზადებენ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას.

რიონჰესის მუშათა კოლექტივმა ვალდებულება იკისრა თებერვალში გამომიეშვა 12 მილიონი კილოვატ - საათი ენერგია. 18 თებერვლამდე უკვე გაიმუშავებულია 10.135.000 კილოვატ-საათი ენერგია.

სამკერვალო ფაბრიკის 22 ბრიგადიდან ექვსი XVIII ყრილობის სახელობისაა. ისინი წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას. მაგალითად, თეთრეულის მკერავმა ბრიგადამ (ბრიგადირი—ნ. ჭოლოყავა), რომელიც წინათ 100 პროცენტით ასრულებდა გეგმას, იკისრა ვალდებულება გეგმა 150 პროცენტით შეასრულოს. თებერვლის პირველი ათი დღის გეგმა ამ ბრიგადამ 128,6 პროცენტით შეასრულა. შარვლების შემკერავმა ბრიგადამ (ბრიგადირი — დ.კვერნაძე) ათი დღის გეგმა 135 პროცენტით შეასრულა.

ხალათების მკერავი ბრიგადა (ბრიგადირი — ან. ბარბაქაძე) წინათ ჩამორჩენილი იყო და გეგმას მხოლოდ 90-92 პროცენტით ასრულებდა. ახლა, შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ, თებერვლის პირველი ათი დღის გეგმა ამ ბრიგადამ 112 პროცენტით შეასრულა.

საქბარიტის ჟონეთის მაღაროს სტახანოველმა კ. ჯანელიძემ თებერვლის პირველ ათ დღეში ამოიღო 102 ტონა ბარიტი, რაც ნაკისრი ვალდებულების 210 პროცენტს შეადგენს.

აბრეშუმის კომბინატის სტახანოველმა ი. ტკაჩენკომ, რომელიც ჩაბმულია წინასაყრილობო შეჯიბრებაში, თებერვლის პირველი დეკადის გეგმა 181 პროცენტით შეასრულა. აღსანიშნავია ისიც, რომ მის მიერ მოქსოვილი მატერია სულ პირველი და მეორე ხარისხისაა. ასეთი წარმატებებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს დანარჩენი სტახანოველებიც.

ე. გვასალია

საჩუქრად მე-18 პარტყრილობას

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-შემკეთებელი ქარხნის სამგზავრო ვაგონების საამქროს სტახანოვურმა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. ს. ტატიაშვილი ხელმძღვანელობს, დაამყარა ახალი საწარმოო რეკორდი — დღიური გეგმა შეასრულა 1370 პროცენტით.

ბრიგადამ ეს რეკორდი მიუძღვნა პარტიის XVIII ყრილობას.

ვ. მჭედლიშვილი

მოლოკოველების სიტყვა და საქმე

თბილისის მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ქარხნის კოლექტივმა ენერგიულად დაიწყო ბრძოლა აღებულ ვალდებულებათა გადაღდებისათვის. ცალკეულ საამქროებში გაიშალა ინდივიდუალური შეჯიბრება.

მუშა მ. კრიჟანოვსკი გასულ წელს ყოველდღიურ გეგმას საშუალოდ 110-115 პროცენტით ასრულებდა. მას შემდეგ, რაც ვალდებულება აიღო, რომ XVIII ყრილობას გეგმების გადაჭარბებით შესრულებით შეხვდებოდა, მან საგრძნობლად გააუმჯობესა თავისი მუშაობა. თებერვლის ყოველდღიურ გეგმებს ამხ. მ. კრიჟანოვსკი საშუალოდ 160-165 პროცენტით ასრულებს.

უფრო უკეთესად მუშაობს ამხ. ა. ვართანდვი. ჩაება რა შეჯიბრებაში, მან იკისრა, რომ ყოველდღიურ გეგმას 200 პროცენტით შეასრულებდა. ვართანოვმა თავის სატყვა საქმედ აქცია. მან დაპირებას გადააჭარბა, ყოველდღიურ გეგმას 200-240 პროცენტით ასრულებს.

ამხ. ი. ზაალიშვილმა გასული წლის გეგმა მხოლოდ 94 პროცენტით შეასრულა. ჩამორჩენის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ამხ. ზაალიშვილს ხელს არ უწყობდნენ მუშაობაში. ახლა კი ამხ. ზაალიშვილი საუკეთესოდ მუშაობს. ამხ. ზაალიშვილი ყოველდღიურ გეგმას 176-180 პროცენტით ასრულებს.

ასევე კარგად მუშაობენ გ. ბალიბეკოვი, ე. გაბინაშვილი, ა. ტარშინა, ო. ზურაბოვი, ა. მურადოვი და სხვ.

შ. თევზაძე

ფაქტიურ გაიშალა წინასაყრილობო შეჯიბრება

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

წითელ-წყაროს კოლმეურნეობებში და მტს-ში ფართოდ გაიშალა წინასაყრილობო შეჯიბრება.

კოლმეურნეობა „კომუნარმა“ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია კოლმეურნეობა „შრომა“. კომუნარელები კისრულობენ ცხვრის ნამატის 100 პროცენტით შენარჩუნებას, საქონლის კონცენტრირებული საკვებით უზრუნველყოფას და სხვ. გამოწვევა მიღებულია. კოლმეურნეობა „შრომას“ მეცხვარეობის ფერმის გამგე ამხ. ს. ბოსტოღანაშვილი პირობას იძლევა: არცერთი ბატკანი არ დაკვლის დაუდევრობით, დროზე ჩატაროს ცხვრის პარსვა, მოწველა, ყველის დამზადება.

კოლმეურნეობა „წითელი არბოიკის“ წევრებმა იკისრეს ვალდებულება დღლობამდე დარჩენილი დრო აზრიანად გამოიყენონ საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის ყველა საჭირო პირობის მოსამზადებლად. აღნიშნულმა კოლმეურნეობამ აიღო ვალდებულება დღლობის წარმატებით ჩატარების, ბატკნების უკეთ გამოზრდისა და მთლიანად შენარჩუნების შესახებ და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თელავის რაიონის სოფელ ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობა.

წინასაყრილობო შეჯიბრებაში ჩაებნენ დანარჩენი კოლმეურნეობებიც. გარდა ამისა, ფართოდ არის გაშლილი ინდივიდუალური შეჯიბრებაც.

წითელ-წყაროს მე-15 სატრაქტორო ბრიგადის წევრებმა პ. წიკლაურმა, შ. აფციაურმა, ლ. ლალიაშვილმა, გ. ჩიტაურმა, დ. გოგოლაშვილმა, ა. წიკლაურმა და მ. ბუჩუკურმა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით აიღეს ვალდებულება, რომ საგაზაფხულო ხვნა-თესვას ჩაატარებენ მაღალხარისხოვნად, განსაზღვრულ ვადებში. მათ ვალდებულებაში აგრეთვე ნათქვამია, რომ თვალისჩინივით გაუფრთხილდებიან ტრაქტორებს, მოახდენენ საწვავის ეკონომიას 20 პროცენტით.

ლ. ისაკოვი.



მ. ფრუნზეს სახელობის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი აკადემიის მსმენელები—საბჭოთა კავშირის გმირები კაპიტანი დ. ტ. ლევჩენკო (მარცხნივ) და პოლკოვნიკი ა. ი. როდიმცევი აკადემიის სამკითხველო დარბაზში.

საკდესის ფოტოკრონიკა

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მუშურ - გლეხური წითელი არმიის მეთაურებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა კავშირის თავდაცვის ძლიერების განმტკიცების დარგში მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება **ლენინის** ორდენის გადაცემით:

1. მაიორ ორესტ ნიკოლოზის-ძე **ბოროვკოვს.**
2. მაიორ სტეფანე სტეფანეს-ძე **გაიდარენკოს.**
3. მაიორ ნიკოლოზ სიმონის-ძე **გერასიმოვს.**
4. მაიორ სერგეი ივანეს-ძე **გრიცევეცს.**
5. პოლკოვნიკ ანტონ ალექსის-ძე **გუბენკოს.**
6. მე-2 რანგის კაპიტან ნიკოლოზ პავლეს-ძე **ეგიპკოს.**
7. უფროსს ლეიტენანტ ვასილ ვასილის-ძე **ზვერევს.**
8. კაპიტან პავლე ტერენტის-ძე **კორობკოვს.**
9. მაიორ გრიგოლ პანტელეის-ძე **კრავჩენკოს.**
10. უმცროს მეთაურს მარკ ნიკოლოზის-ძე **მარჩენკოვს.**
11. პოლკოვნიკ ევგენი მაკარის-ძე **ნიკოლაენკოს.**
12. პოლკოვნიკ ალექსანდრე სტეფანეს-ძე **ოსიპენკოს.**
13. კაპიტან სიდორ ვასილის-ძე **სლიუსარევს.**
14. პოლკოვნიკ ივანე სტეფანეს-ძე **სუხოვს.**
15. კაპიტან ივანე პავლეს-ძე **სელივანოვს.**
16. პოლკოვნიკ ტიმოთე ტიმოთეს-ძე **ხრიუკინს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე—
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი—
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1939 წ. 22 თებერვალი.

კამათი თემთა პალატაში შეიარაღების საკითხზე

ლონდონი, 21 თებერვალი (საკდესი). დღეს თემთა პალატაში გრძელდებოდა კამათი ახალ საბიუჯეტო წელს სამხედრო საჭიროებათათვის თანხების გადადების საკითხზე. კამათში გამოვიდა ინგლისის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ჩემბერლენი, რომელმაც განაცხადა, რომ გუშინდელმა კამათმა პალატაში ცხადჰყო აზრთა გარკვეული ერთგვარობა შემდგომი შეიარაღების აუცილებლობის საკითხში. კერძოდ, განაცხადა მან, ლეიბორისტებს თავის გამოსვლაში არ უხსენებიათ არც კოლექტიური უშიშროება, არც ერთა ლიგა. შეეხო რა ერთა ლიგის საკითხს, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ერთა ლიგის უუნარობა განახორციელოს სანქციების პოლიტიკა არ შეიძლება აიხსნას ინგლისის ან სხვა რომელიმე ქვეყნის მოქმედებით ან უმოქმედობით. რეალური მიზეზი თითქოს იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ერთა ლიგას დაკისრებული ჰქონდა ამოცანა, რომელიც საგრძნობლად აღემატება მის ძალას. ეჭვს გარეშეა, განაცხადა შემდეგ ჩემბერლენმა, რომ ერთადერთ მანსს იმისათვის, რათა ერთა ლიგა გადაიქცეს მშვიდობიანობის შენარჩუნების ნამდვილ ფაქტორად, წარმოადგენს უარყოფა იდეისა, თითქოს მშვიდობიანობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნას ძალის გამოყენების გზით (ჩემბერლენს, როგორც სჩანს, ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს სანქციების გაძლიერება აგრესორის მიმართ). შემდეგ ჩემბერლენი შეეხერდა ინგლისის შეიარაღების პროგრამის შესრულების მიმდინარეობაზე და აღნიშნა, რომ მისი რეალიზაციისათვის დიდი ფინანსიური ხარჯები იქნება საჭირო. საბოლოო ანგარიშით, განაცხადა მან, შეიძლება ისე გამოვიდეს, რომ სახელმწიფოს მთელი შემოსავალი საკმარი არ იქნეს პროცენტების გადასახდელად და იმ სესხთა გასასტუმრებლად, რომლებიც აღებულია შეიარაღების პროგრამის დასაფინანსებლად. ასეთმა პერსპექტივამ სერიოზული შეშფოთება უნდა გამოიწვიოს.

ინგლისის მთავრობა უყოყმანოდ იკისრებდა შეიარაღების შეზღუდვის მსოფლიო კონფერენციის მოწვევის ინიციატივას, ოღონდ ამჟამად იგი არ არის დარწმუნებული, რომ ეს პრაქტიკულად მისაღები წინადადება იქნება. დასასრულ ჩემბერლენმა წამოაყენა წინადადება უფრო თავშეკავებულად მოეკიდონ ცხობებს სხვა ქვეყნების აგრესიულ ზრახვათა შესახებ, და გამოსთქვა აზრი, რომ გამაღებული შეიარაღება ურთიერთგაუგებლობის შედეგია.

ჩემბერლენის შემდეგ გამოვიდა ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი ეტლი, რომელიც შეჩერდა პრემიერის შენიშვნაზე ლეიბორისტების პოზიციის შესახებ კოლექტიური უშიშროების საკითხში. ეტლმი, კერძოდ, აღნიშნა, რომ მთავრობამ თავისი სიძნდალის მეოხებით ხელი შეუშყო კოლექტიური უშიშროების პრინციპების შერყევას და ამით თითქმის იზოლირებული აღმოჩნდა. ინგლისს ამჟამად ჰყავს მხოლოდ ერთი ეფექტური მოკავშირე. დასასრულ ეტლმ იკითხა, აწარმოებს თუ არა მთავრობა მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირთან იმისთვის, რათა ცოახდინოს საერთაშორისო მდგომარეობის სტაბილიზაცია.

1939 წ. 23 თებერვალს, საღამოს სრულ 7 საათზე, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრში მოწვეულია **თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების**

ქალაქის საბჭოს საზეიმო კრებაზე

პარტიული, საბჭოთა, სამხედრო, კომკავშირის და პროფკავშირის ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოწვევილობით, — ძიძღვნილი **მუშურ - გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო - საზღვაო ფლოტის XXI წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების XVIII წლისთავისადმი.**

შესვლა მოსაწვევი ბარათებით. მოსაწვევი ბარათები გაიცემა თბილისის საბჭოსა და რაისაბჭოების მიერ.

თბილისის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი

სსრკ თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, მ. გ. წითელი არმიის პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, არმიის 1-ლი რანგის კომისარი **ლ. ზ. მეხლისი;** საბჭოთა კავშირის მარშალი **ს. მ. ბუდიონი.**

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა, პოლიტმუშაკთა, ინჟინერთა, ექიმთა, ტექნიკოსთა, უმცროს მეთაურთა და წითელარმიელთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 22 თებერვლის ბრძანებულებით **საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების დარგში მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და მუშურ-გლეხური წითელი არმიის შენაერთების, ერთეულებისა და ქვედანაყოფების საბრძოლო, პოლიტიკურ და ტექნიკურ მომზადებაში განსაკუთრებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია 654 მეთაური, პოლიტმუშაკი, ინჟინერი, ექიმი, ტექნიკოსი, უმცროსი მეთაური, წითელარმიელი, მუშა და მოსამსახურე.**

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 29 კაცი, მათ შორის: უფროსი ლეიტენანტი პეტრე დიმიტრის-ძე **ბაშმაკოვი,** ათასეულის კომისარი თედორე ივანეს-ძე **ბოგატირევი,** ლეიტენანტი ბორის გერასიმეს-ძე **ბოროდაი,** პოლკოვნიკი ადრიან ვასილის-ძე **ვასილიევი,** ბრიგადის მეთაური პავლე სიმონის-ძე **ვოლოდინი,** კაპიტანი ნიკიფორე ემანუილის-ძე **გრეშენკოვი,** 1-ლი რანგის სამხედრო ტექნიკოსი მიტროფანე ივანეს-ძე **დიაჩკოვი,** მაიორი ალექსანდრე მიხეილის-ძე **ილინი** და სხვები.

„წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებულია 346 კაცი. ესთ შორის: მე-3 რანგის კაპიტანი ნიკოლოზ ოსიპის-ძე **აბრამოვი,** უფროსი ლეიტენანტი ტიხონ ლეონტის-ძე **ავდეევი,** პოლიტხელი ბორის ვასილის-ძე **ალექსეევი,** პოლკოვნიკი ივანე პროკოფის-ძე **აფეროვი, კაპიტანი** ივანე სიმონის-ძე **ანაშჩენკო,** ლეიტენანტი ვასილ დიმიტრის-ძე **ანდრეევი,** მამასახლისი ლეონიდ სიმონის-ძე **არსენიევი,** მე-2 რანგის საზღვრო ინჟინერი მიხეილ პეტრეს-ძე **ბატუროვი,** უმცროსი მეთაური ალექსი თედორეს-ძე **ბირიუკოვი,** მაიორი მიხეილ გიორგის-ძე **ბოგდანოვი,** 1-ლი რანგის სამხედრო ტექნიკოსი ვლადიმერ დიმიტრის-ძე **ბულიგინი,** წითელარმიელი ზაქარია სიმონის-ძე **ივუენკო** და სხვები.

„წითელი ვარსკვლავის“ ორდენით დაჯილდოებულია 163 კაცი. მათ შორის: მე-2 რანგის სამხედრო ტექნიკოსი პეტრე ანტონის-ძე **ალექსანდრენკო,** დივიზიის მეთაური პავლე ალექსანდრეს-ძე **ალექსეევი,** პოლკოვნიკი ფილიპე თედორეს-ძე **ალიაბუშევი,** კაპიტანი მიხეილ იაკობის-ძე **ანდრუსენკო,** 1-ლი რანგის სამხედრო ტექნიკოსი პეტრე ივანეს-ძე **ბარინოვი,** უფროსი ლეიტენანტი ნიხეილ ნიკოლოზის-ძე **ბელიკოვი,** უფროსი ლეიტენანტი მიხეილ იაკობის-ძე **ბელოვი,** მაიორი პეტრე დიმიტრის-ძე **ბელოვი,** უმცროსი მეთაური ევგენი ალექსანდრეს-ძე **ბელიაკოვი,** უფროსი პოლიტხელი ნიკოლოზ ვასილის-ძე **ვალუევი** და სხვები.

მედლით **„მამაცობისათვის“** დაჯილდოებულია 54 კაცი, მედლით **„საბრძოლო დამსახურებისათვის“**—23 კაცი, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“**—14 კაცი, მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“**—25 კაცი. (საკდესი).

წითელი არმიის XXI წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

22 თებერვალს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წითელი არმიის საოლქო სახლში დიდი ენტუზიაზმით ჩატარდა მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა საზეიმო კრება, მიძღვნილი მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXI წლისთავისადმი.

საპატიო პრეზიდიუმში მჭუხარე ტაშით ერთხმად არჩეულია **საკ. კ. პ. (ბ)** ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობა ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგები **ბერია, მეხლისი, დიმიტროვი, ტელმანი და ხოზე დიასი.**

კრების პრეზიდიუმში არჩეული არიან ამხ. ტიულენევი, სანაკოევი, ტოლბუხინი, ვესელკოვი, საქართველოს სახალხო არტისტი დ. არაყიშვილი, თბილისის კონსერვატორიის დირექტორი გ. კილაძე და სხვები.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის სარდალმა არმიის მეორე რანგის სარდალმა **ი. ვ. ტიულენევმა** თავის ვრცელ მოხსენებაში გააშუქა ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის გმირული გზა.

დასასრულ მოხდა მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა შეხვედრა თბილისის კონსერვატორიის მუშაკებთან და გაიმართა დიდი კონცერტი (საქდესი).

ხასანის ბრძოლების მონაწილენი ორდენოსნები ლეიტენანტი ალ. გოგუა და კაპიტანი დომ. მეგრელიშვილი.

როსტოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკთა დაჯილდოება

სოფლის მეურნეობაში შესანიშნავი წარმატებებისათვის და განსაკუთრებით მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის ხაზით გეგმების გადამეტებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია როსტოვის ოლქის სოფლის მეურნეობის 158 მოწინავე მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 15 კაცი; „შრომის წითელი დროშის“ ორდენით — 26 კაცი; „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 35 კაცი; მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 40 კაცი; „შრომითი წარმატებისათვის“ — 42 კაცი. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

ერთსულოვნად იწონებენ თეზისებს

კიროველთა შესწორებები და დამატებანი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონის V კონფერენციამ გუშინ დაამთავრა მუშაობა. კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია მოსმენილ მოხსენებათა გარშემო. კონფერენციამ მთლიანად და სავსებით მოიწონა ამხ. ვ. მოლოტოვისა და ამხ. ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები.

კონფერენციამ სათითაოდ განიხილა დელეგატების მიერ წამოყენებული წინადადებანი და საუკეთესონი შეიტანა თავის რეზოლუციაში. კერძოდ ამხ. მოლოტოვის მოხსენების თეზისების გარშემო კონფერენციამ მიიღო წინადადება პოლიგრაფიული და საგამომცემლო წარმოებებისათვის ერთი ხელმძღვანელი ცენტრის შექმნის შესახებ, შავი ზღვის ჩკინიგზისა და ხრამჰესის მშენებლობის დამთავრების მესამე ხუთწლიან გეგმაში შეტანის შესახებ და სხვ. ამხ. ჟდანოვის მოხსენების თეზისების გარშემო კონფერენციამ შეიტანა წინადადება, რომ პარტიულ კომიტეტს განთავისუფლებული მდივანი ჰყავდეს იქ, სადაც პარტიული ორგანიზაცია 100 წევრსა და კანდიდატზე მეტს აერთიანებს; დაწესდეს პარტკომის მდივნებისა და პარტორგების ანგარიშგება 6 თვეში ერთხელ; სამხარეო, საოლქო, რესპუბლიკურ და საქალაქო ხელმძღვანელ პარტორგანოებში შეიქმნას სამხედრო-თავდაცვითი მუშაობის განყოფილებანი და სხვ.

რეზოლუციის მიღების შემდეგ ცხადდება ფარული კენჭისყრის შედეგები. მთელი დარბაზი ხანგრძლივი მჭუხარე ტაშით ხვდება ცნობას იმის შესახებ, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობის პირველ დელეგატად ერთხმად არჩეულია ხალხთა ბელადი დიდი **სტალინი.**

კონფერენცია ტაშით ხვდება აგრეთვე ცნობას საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობის დელეგატებად ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** და **კ. ნ. ჩარკვიანის** არჩევის შესახებ.

დელეგატებად აგრეთვე არჩეულნი არიან: **ვ. ბაქრაძე, კ. შეროზია, მ. ჯგაში, ს. იშხანოვი, ე. ჩერქეზია, რ. კვირკველია, ფ. მახარაძე, ი. ტიულენევი, ა.მირცხულავა, თ. ბირკაძე, ა. მაშაშვილი, ს. ეული, ი. კოკლაშვილი, ვ. ლელიანი, ი. ძებისაშვილი, მ. არაქელოვა** და სხვ.

საქართველოს კ. პ. (ბ) XII ყრილობის დელეგატთა სიის გამოქვეყნების შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

პირველი დელეგატია დიდი სტალინი

(ბათუმი, საკ. კორესპონდენტისაგან)

21 თებერვალს მუშაობა დაამთავრა ბათუმის IV საქალაქო პარტკონფერენციამ, რომელიც 20 თებერვალს გაიხსნა. კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში მჭუხარე ტაშით აირჩია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ სტალინის მეთაურობით და აგრეთვე ამხანაგები: ბერია, დიმიტროვი, ტელმანი და ხოზე დიასი.

კონფერენციამ მოისმინა ამხ. მ. ბარამიას და ო. ჯიბლაძის მოხსენებები ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებზე. კამათში გამოვიდა 23 კაცი, რომელთაც ერთსულოვნად მოიწონეს თეზისები და ილაპარაკეს იმ დიდ მიღწევებზე, რაც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით პირველი და მეორე ხუთწლედების წარმატებით შესრულების შედეგად.

დელეგატებმა — ინასარიძემ, მანუკიანმა, ბალანკოვამ, გოგავამ, ფირიაშვილმა, სიმონიანმა, მანიაფოვმა, კრულმა და სხვ. კონფერენციას მოუთხრეს იმ საწარმოო აღმავლობის შესახებ, რასაც ადგილი აქვს ბათუმის ფაბრიკა-ქარხნებში, ცალკეულ საამქროებსა, ცვლებსა და ბრიგადებში წინასაყრილობო სოცშეჯიბრების გაშლის შედეგად. კონფერენციამ ერთხმად მოიწონა ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები და მიიღო შემდეგი წინადადებანი:

1. მიეცეს საამქროების პარტორგანიზაციებს საწესდებო უფლება აწარმოონ პარტიაში მიღება და გარიცხვა, რასაც ამტკიცებდეს ქარხნების პარტორგანიზაციის ბიურო.

2. ის ადგილი ამხანაგ ჟდანოვის თეზისებში, სადაც რეკომენდატორებზე ნათქვამია, რომ ისინი ერთი წლის ერთად მუშაობით მაინც უნდა იცნობდნენ რეკომენდებულთ, შეიცვალოს შემდეგნაირად: „რომლებიც ეძყსი თვით ერთად მუშაობით მაინც იცნობენ“.. და ა. შ.

3. ქალაქკომებსა და რაიკომებში შეიქმნას ინსტრუქტორ-ინფორმატორის შტატი.

4. მესამე ხუთწლედში დამთავრებულ იქნას ბათუმის საზღვაო სადგურის მშენებლობა და სხვ.

კონფერენციამ მისალმების გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს, აგრეთვე ამხანაგებს ბერიას და ჩარკვიანს.

მჭუხარე ტაშით შეხვდა დარბაზი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის და სტალინური სახკომის ამხანაგ ბერიას საქართველოს ბოლშევიკთა XII ყრილობის დელეგატებად არჩევას. ყრილობის დელეგატებად გადამწყვეტი ხმის უფლებით არჩეულ არიან აგრეთვე ამხ. სანაკოევი, ტივაძე, ბარამია, ჯიბლაძე, ფუტკარაძე, ზაქარაია, დავითაძე, რუხაძე და სხვ.—სულ 26 კაცი გადამწყვეტი ხმით, ხოლო სათათბიროთი—6.

კონფერენციამ ამხ. მ. ბარამია აირჩია ქალაქკომის პლენუმის შემადგენლობაში. ამავე დღეს შესდგა ქალაქკომის პლენუმი, რომელმაც ამხ. ბარამია აირჩია ბიუროს შემადგენლობაში და ქალაქკომის პირველ მდივნად.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ამხ. ვ. ბაქრაძე.

ჯყიბულის მაღაროელ ბოლშევიკთა წინადადებები

(ტყიბული, ტელეგრაფით საკ. კორესპონდენტისაგან)

21 თებერვალს დაამთავრა თავისი მუშაობა საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის მე-16 რაიონულმა პარტკონფერენციამ.

კონფერენციამ მოისმინა ამხ. ჩ. ბაიდაშვილის და ფ. ქასრაშვილის მოხსენებები ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებზე.

მოხსენებათა ირგვლივ გაშართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ვ. მირზოევმა, ქ. ბეშკენაძემ, ა. ქასრაშვილმა, ბ. თოდაძემ, ვ. გოლეთიანმა, ლ. მარიახინმა, ს. ცირეკიძემ, ი. გორგიძემ, ე. ბუბაშვილმა, შ. ლაფერაძემ, შ. კოპალეიშვილმა, ბ. მაღლაფერიძემ, შ. ფურცხვანიძემ და სხვ.

კამათში გამოსული დელეგატები ერთხმად იწონებდნენ ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებს და აყენებდნენ ახალ წინადადებებს.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია. აგრეთვე მიღებულ იქნა ამხანაგების მიერ წამოყენებული წინადადებები:

1. გაფართოებულ იქნას მოწვიმთის კირის ქარხანა და დაიდგას ახალი ღუმელი, რაც უზრუნველჰყოფს დასავლეთ საქართველოს მოთხოვნილებას კირზე.

2. შესწავლილ იქნას სოფელ მუხურაში, ძიროვანში და წყალწარში ქვანახშირის საბადოების მარაგი.

3. 1941 წლისათვის 1.400.000 ტონა ქვანახშირის ამოღებასთან დაკავშირებით მესამე ხუთწლედში მოხდეს ტყიბულ—ჭუთაისის რკინიგზის რეკონსტრუქცია და აიგოს მაღალი ძაბვის გადამცემი ელექტროხაზი.

4. ვათვალისწინებულ იქნას მაღაროებისათვის სარეზერვო თბოელექტროსადგურის აგება.

5. მესამე ხუთწლედში ქვანახშირის გადიდებულ ამოღებასთან დაკავშირებით აგებულ იქნას ქვანახშირის გამამუხტველი საბრიკეტო ქარხანა (საკოთხის დაყენების წესით).

6. აგებულ იქნას სამთო-ტექნიკური სასწავლებელი მაღაროებში და ტყიბულის მუშებისათვის სანატორიუმი კურორტ წყალწუბოში.

7. პარტიის მომქმედ წესდებაში შეტანილ იქნას ცვლილება თანამგრძნობთა ჯგუფის გაუქმების შესახებ და სხვ. წინადადებები.

კონფერენციამ დახურული კენჭისყრით საქ. კ. პ. (ბ) მე-12 ყრილობის დელეგატებად ერთხმად აირჩია ხალხთა ბელადი დიდი სტალინი, ქართველი ხალხის სამამაცო შვილი ამხანაგი ლ. ბერია; აგრეთვე არჩეული არიან გადამწყვეტი ხმით ამხ. ნ. ბაიდაშვილი, გ. გორგიძე, ა. ქასრაშვილი, შ. ფურცხვანიძე, ხოლო სათათბიროთი — ამხ. ს. პატარქალიშვილი.

დასასრულს კონფერენციამ მისალმების დეპეშები გაუგზავნა ამხანაგ სტალინს, ლ. ბერიას და კ. ჩარკვიანს.

დ. საბელაშვილი.

ბათუმის ბოლშევიკთა კონფერენცია

(ბათუმი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში მუშაობა დაამთავრა ბათუმის რაიონულმა III პარტკონფერენციამ, რომელმაც მოისმინა ამხ. ვ. დვალის და შ. აფხაზავას მოხსენება ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისებზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ა. ბერიძემ, ი. ივაშკინმა, ა. ლორიამ, ს. მელაძემ, შ. პაიჭაძემ, გ. ჯაფარიძემ და სხვებმა, რომელთაც მოიწონეს თეზისები და წამოაყენეს ახალი წინადადებანი, მაგალითად ზოგიერთებმა მოითხოვეს, რომ პარტიაში შემსვლელი საბჭოთა კავშირის გმირები მიღებული იქნან პარტიაში უშუალოდ, პარტკანდიდატი სტაჟის გაუვლელად; აგრეთვე შემოიტანეს წინადადებები, რომ კოლმეურნე კომუნისტებისათვის საწევრო ანარიცხები განისაზღვრა იმის როგორ იმოქმედოს მტრის ზურგში და მის სწრაფ ცხენებსა და ბასრ ხმლებს ცოცხალი ვერ წაუვა ვერცერთი ფაშისტი.

საბჭოთა ხალხს მხურვალედ უყვარს თავისი ცხენოსანი ჯარი და აფასებს მას. ამ სიყვარულს იგი გამოხატავს თავის პატრიოტულ სიმღერებში. საბჭოთა ხალხი ყოველწლიურად აძლევს წითელ ცხენოსან ჯარს თავის საუკეთესო, ლენინ-სტალინის საქმისადმი ერთგულ შვილებს, რომლებიც წარმატებით ეუფლებიან სამხედრო საქმის მწვერვალებს.

წითელი არმიის 21 წლისთავს წითელი ცხენოსანი ჯარი ხვდება ახალი წარმატებებით საბრძოლო და პოლიტიკური ჭომზადების საქმეში, მთელი პირადი შემადგენლობა მჭიდროდ არის დარაზმული ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, ცხენოსანი ჯარი წარმოადგენს წითელი არმიის მძლავრ დარტყმელ ძალას. წითელი ცხენოსანი ჯარის ნაწილებს ახსოვთ და ისინი ანხორციელებენ ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის ბითითებებს და იმყოფებიან მუდმივი მზადყოფნის მდგომარეობაში.

— იაპონელმა ფაშისტებმა გამოსცადეს წითელი არმიის ძლიერება და გმირობა[1]), მაგრამ თუ მათთვის არ კმარა ხასანის ტბაზე მიღებული თვალსაჩინო გაკვეთილები, — ამბობს ამხანაგი ვოროშილოვი,—თუ მტერს შეუძლია დაივიწყოს საბჭოთა იარაღის მძლეთამძლე ძალა, წითელი მებრძოლებისა და მათი მეთაურების გმირობა, ჩვენ უნდა ვეუბნოთ მათ: „ბატონებო, ის რაც თქვენ მიიღეთ ხასანთან—ეს მხოლოდ „ყვავილებია“, ხოლო „ნაყოფი“, ნამდვილი „ნაყოფი“ ჯერ წინაა“.

თუ მტერი გაბედავს თავს დაესხას ჩვენს სამშობლოს, წითელი ცხენოსანი ჯარი, გაამაგრებს რა საბჭოთა ომის საბრძოლო გამოცდილებას მოწინავე სოციალისტურ ტექნიკაზე, თავისი მებრძოლების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების მაღალ სწავლებასა და გმირობაზე, რკინისებური სახალხო კომისრის ამხ. ვოროშილოვის ხელმძღვანელობით გაანადგურებს ყოველ მტერს მისსავე ტერიტორიაზე.

[1]) ამხ. ვოროშილოვის სიტყვიდან წითელ მოედანზე 1937 წლის 7 ნოემბერს.

ყაზბეგის რაიონული პარტიული კრება ყაზბეგში

დიდი აქტივობით ჩატარდა ყაზბეგის რაიონული პარტიული კრება, რომელზედაც ამხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისების შესახებ მოსმენილ იქნა ამხ. ზაუტაშვილისა და წიკლაურის მოხსენებები. მოსმენილ მოხსენებათა გარშემო სიტყვები გამოვიდნენ ამხ. ზ. დოლიაშვილი, ა. ქირიკაშვილი, ნ. ინაშვილი, გ. ოდიშვილი და სხვ. დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც სავსებით მოიწონა აქხანაგების მოლოტოვისა და ჟდანოვის მოხსენებათა თეზისები.

ზ. დოლიაშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ოჩემჩირის რაიკომის პლენუმი

(სოხუმი, ტელეგრაფით საკ. კორესპონდენტისაგან)

20 თებერვალს შესდგა ოჩემჩირას პარტრაიკომის პლენუმი, რომელმაც მოისმინა ამხ. დ. მალანიას მოხსენება რაიონში პარტიული მუშაობის მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

პლენუმმა სამუშაოდან გაანთავისუფლა რაიკომის პირველი მდივანი დ. მალანია, რადგან მან თავი ვერ გაართვა მუშაობას. რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის ამსრულებლად არჩეულ იქნა ამხ. დავით ჯანჯღავა. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. ბექვაიამ.

გ. მერკვილაძე.

№ მესაზღვრე რაზმის (ზაკი ზღვა) საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი ვ. ა. გრუშევსკი ვახტზე.

საკდესის ფოტოქრონიკა

მოსკოვის სამხედრო ოლქის № ნაწილის მებრძოლები თხილამურებით მიდიან სასროლო მეცადინეობაზე.

საკდესის ფოტოქრონიკა

ო. ი. გოროდოვიკოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

წითელი ცხენოსანი ჯარი წითელი არმიის უკყევი ძაღაა

შინაური და გარეშე კონტრრევოლუციისაგან ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად ლენინ-სტალინის პარტიამ შეჰქმნა უძლეველი წითელი არმია და მასთან ერთად წითელი ცხენოსანი ჯარი.

წითელი ცხენოსანი ჯარი იქმნებოდა მრავალრიცხოვან პარტიზანული ცხენოსანი რაზმებისაგან, რომლებიც შესდგებოდნენ მუშებისა, უღარიბესი გლეხებისა და წმრომელი ყაზახებისაგან. ყველა ესენი მძაფრი ბრძოლის დროს ბოლშევიკების პარტიამ ჩამოაყალიბა ცხენოსან პოლკებად, დივიზიებად და კორპუსებად.

ყველაზე დიდი პირველი საკავალერიო გაერთიანება იყო დონის 1-ლი საბჭოთა ნაკრები ცხენოსანი დივიზია, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა 1918 წლის დეკემბერში სოფელ აბგაჯაროვოში. დივიზიის ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ ამხ. ბუდიონას ცხენოსანი რაზმები, რომლებიც წავიდნენ ცარიცინისაკენ სალის ველებიდან. 1-ლი საბჭოთა ცხენოსანი დივიზიის მეთაური იყო ამხ. ბუდიონი.

თეთრი ურდოები აწვებოდნენ ცარიცინს. განსაკუთრებული საფრთხე იყო მე-10 არმიის მარჯვენა ფლანგზე. ამ არმიას სარდლობდა ამხ. ვოროშილოვი.

ამხ. ვოროშილოვის განკარგულებით ჩვენი დივიზიის 1-ლი ბრიგადა გადაყვანილი იყო მე-10 არმიის მარჯვენა ფლანგზე, ხოლო მე-2 ბრიგადა—მარცხენა ფლანგზე. ბრიგადის მეთაურის ამხ. ტიმოშენკოს ავადმყოფობის გამო მე-2 ბრიგადას ემეთაურობდი მე.

მე-2 ბრიგადამ, რომელსაც წინ რამდენჯერმე უფრო ძლიერი და კარგად შეიარაღებული მოწინააღმდეგე ჰყავდა, დაიწყო უკანდახევა ტბა სარპას რაიონში სარეპტის ბიმართულებით. მე გავუგზავნე მოხსენება ამხ. ბუდიონის და ვთხოვე დამხმარებოდა. ამხ. ბუდიონი, რომელიც 1-ლი ბრიგადით იმყოფებოდა ბეკეტოვკის რაიონში, წამოვიდა ჩემს დასახმარებლად. ბნელი ყინვიანი ღამე იყო. მე გავიგე 1-ლი ბრიგადის მოძრაობის შესახებ და ვიჩქარე მისკენ. ამხ. ბუდიონი ცხენოსან ჯარს ხელმძღვანელობდა ბრძნულად და ენერგიულად. ის ხშირად ჩადიოდა ბრძოლის ხაზში, ეცნობოდა ბრძოლის მსვლელობას, ადგენდა ახალ გეგმას და ისევ ბრუნდებოდა ბრძოლის ხაზში.

ამხ. ბუდიონის ხელმძღვანელობით ჩვენ ჯარებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ტბა სარპა ჩვენ ხელში გადავიდა. ამ ბრძოლებში ამხ. ბუდიონმა ბრძოლის ველზე ბრძანებები გასცა ბრძოლის ხაზში მყოფ ბრიგადის მეთაურებს. ამხ. ბუდიონის ბრძანებები ზუსტად სრულდებოდა. ამხ. ბუდიონი ბრძოლის ველზე ბრძანებებს გასცემდა ბრძოლის ხაზში მყოფ ბრიგადის მეთაურებს. ამხ. ბუდიონის ბრძანებები ზუსტად სრულდებოდა. ამხ. ბუდიონი ბრძოლის ველზე ბრძანებებს გასცემდა ბრძოლის ხაზში მყოფ ბრიგადის მეთაურებს. ამხ. ბუდიონის ბრძანებები ზუსტად სრულდებოდა.

ბრძოლის ველზე ამხ. ბუდიონი

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXI წლისთავი

მ. გ. წითელი არმიის ნაწილების საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება. სურათზე: ლეიტენანტი მ. ბოგდანი უხსნის უმცროს მეთაურ ს. სიტნიკოვს „უხნის დაცვის ტაქტიკურ ამოცანას“.

საკდესის ფოტოქრონიკა

ვუცავთ ერთგულებას სჯაღინისადმი

როდესაც გათავხედებულმა იაპონელმა სამურაებმა სცადეს ხელში ჩაეგდოთ ჩვენი წმინდათა-წმინდა მიწა-წყალი ხასანის ტბის რაიონში, ჩვენ უშიშრად ვეკვეთეთ მტერს ძლევის ყიჟინით: „სამშობლოსათვის! დიდი სტალინისათვის!“ და ჩვენ გავანადგურეთ მტერი, არ მივეცით მას შესაძლებლობა შეებილწა ჩვენი საბჭოთა მიწა-წყალი.

ჩვენი სიცოცხლის აზრი ის არის, რომ პატიოსნად და მამაცად ვემსახუროთ ხალხს, დავიცვათ ის შონა-პოვარნი და გამარჯვებანი, რომლებსაც მან მიაღწია ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით.

დღეს მე ფიცსა ვდებ სამშობლოს ერთგულებაზე. მე სიამაყით წარმოვსთქვამ ფიცის ღრმად ნაგრძნობ და შეგნებაში აღბეჭდილ სიტყვებს. მე თამამად შევხედავ თვალებში ჩემს მებრძოლ ამხანაგებს. მათში მე დავინახავ ასეთსავე გადაწყვეტილებას, და ერთგულებას ხალხისადმი, პარტიისა და დიდი სტალინისადმი.

დაე იცოდეს მთელმა მსოფლიომ: ჩვენი სიტყვა საქმეს არ შორდება.

ჩვენ საბრძოლო მზადყოფნაში ვართ! ჩვენი სიფხიზლე მაღალია! ჩვენ ფიცი ერთგული და წმინდათა-წმინდაა!

ა. ფ. როგანოვი

ორდენოსანი, პოლიტხელის მოადგილე, ხასანის ტბასთან ბრძოლების მონაწილე.

წიგნი საბჭოთა მესაზღვრეების გმირობაზე

პოსიეტი, 22 თებერვალი (საკდესი). მესაზღვრეთა ჯგუფმა დასაბეჭდად მოამზადა კრებული მოთხრობებისა პოსიეტის წითელდროშოვანი სანაპირო რაზმის საბრძოლო გმირობის შესახებ.

კრებული იხსნება მოკლე ცნობებით რაზმის ისტორიაზე, რომელიც ავსება საბჭოთა მესაზღვრეების სიმამაცისა და გმირობის მრავალი მაგალითით. ცენტრალური ადგილი უკავია ხასანის ტბის რაიონში მომხდარი ბრძოლების მონაწილეების, საბჭოთა კავშირის გმირების ჩერნოპიატკოსა და ტერეშკინის მოთხრობებს.

ნაწყვეტები ხასანის გმირთა ნაამბობიდან

გ. მერკვილაძე

შორეული აღმოსავლეთიდან აქ სამხრეთში—შავი ზღვის სანაპიროებზე, სადაც ზამთარ-ზაფხული ჰყვავის ბუნება, ჩამოდიან დასასვენებლად ხასანის გმირები და მოაქვთ ძვირფასი მოგონებები საბჭოთა ქვეყნის დაცვისათვის გმირული ბრძოლების შესახებ.

აი, რამდენიმე ნაწყვეტი ამ მოგონებიდან.

○

უფროსმა პოლიტხელმა ამხ. სიდიენკომ მოგვითხრო:

— დღითიდღე იზრდება საბჭოთა შორეული აღმოსავლეთი. ჩამორჩენილი უკულტურო მხარიდან ბოლშევიკებმა იგი აქციეს აყვავებულ მხარედ. ბიწას გადაუხსნეს გულმკერდი და იღებენ ოქროს, სპილენძს, ქვანახშირს. აქ ბევრია ტყეები, მდინარეები, ნადირი, თევზი.... იაპონელებს უნდათ ეს აღორძინებული მხარე ჩაიგდონ ხელში.

იაპონიის იმპერიალისტებმა სამი წლის წინათ სპეციალურად შეჭრნეს დივიზია შორეულ აღმოსავლეთში ჩვენს საზღვრებზე იმ მიზნით, რომ დაეწყოთ ომი ჩვენს წინააღმდეგ. ისინი არჩევდნენ დროსაც და ადგილს თავიანთი მიზნის განსახორციელებლად. და, აი, შეარჩიეს კიდეც ასეთი ადგილი — ხასანის ტბის რაიონი. გასული წლის 29 ივლისს შემოუტიეს ჩვენს მესაზღვრეებს. პირველად 50 სამურაი მოუხტა ჩვენს 11 მესაზღვრეს, მაგრამ ჩვენები არ შეშინდნენ და ძლიერი ცეცხლით უკუაქციეს მტრები. წითელი მესაზღვრეების ძალა ვერ გასტეხა უეცრად მოსულმა ათასეულმაც. ჩვენები წყნარად ისხდნენ თავიანთ საფარში და ტყვიის სეტყვით ანადგურებდნენ ჯათავხედებულთ. მაგრამ, ბრძოლის ველზე გამოვიდა იაპონელთა მთელი ლეგიონი. იაპონელთა ლეგიონი და... 11 წითელარმიელი.

ჩვენებმა იწყეს უკანდახევა, მაგრამ მათ მიეშველა მესაზღვრეთა ასეული, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა დავალება მტრის ლეგიონის წინსვლის შეჩერების შესახებ. მძიმე იყო ბრძოლა. ჩვენი ასეულის წინააღმდეგ იაპონელებმა გამოუშვეს მთელი დივიზია და ცხარე ბრძოლების შენდეგ 20 ათასზე მეტი იაპონელი შემოიჭრა ჩვენს ტერიტორიაზე. იაპონელებმა გაამაგრეს აღებული ადგილები.

6 აგვისტო—შორეული აღმოსავლეთის წითელდროშოვანი არმიის წლისთავის დღეა. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ამ დღეს გაგვეწმინდა ჩვენი საზღვარი მტრისაგან. ასეთი იყო საყვარელი სახკომის—ვოროშილოვის ბრძანება. პრიმორიის პირველი არმია მოეწადა შეტევისათვის, და აი, ჩვენ წინ წავიწიეთ, 6 აგვისტოს ჩვენმა ავიაციამ გაანადგურა ზაოზერნაიას და ბეზიმიანაიას სიმაღლეებზე გამაგრებული იაპონელები. იაპონელთა საბრძოლო წერტებიდან ცეცხლი ჩაქრა... ჩვენს ტანკებს მიჰყვა ქვეითი ჯარი. ჩვენი არწივა ვერ შეაჩერა ვერავითარმა დაბრკოლებამ. „სამშობლოსათვის!“ „სტალინისათვის!“ გუგუნებდა ჩვენი არმია და უკან იბრუნებდა ჩვენს ტერიტორიას.

○

უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. ბელიაოვმა მოგვითხრო:

— 6 და 7 აგვისტო ხასანის ტბის რაიონში ყველაზე უფრო დაძაბული ბრძოლების დღეები იყო. იაპონელებმა ამ ბრძოლებში გამოსცადეს თავიანთი არტილერია. ვე არ ვიცი, თავიანთი არტილერიის შესახებ რა შთაბეჭდილებით მოჰკურცხლეს სამურაებმა, ხოლო ჩვენს შესახებ თამამად ვაცხადებ: ქვემეხებით ბრძოლა მათთან არც თუ ისე გაგვჭირებია, ჩვენ ავრერიგად არ ვკარგავდით ყუმბარებს, როგორც იაპონელები. არტილერისტების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა პირველი ორი გასროლისთანავე ისინი ხედავდნენ, როგორ აჭენდნენ ყუმბარას ცაში ტრის ქვემეხები.

— საარტილერიო დუელით გართულებს უეცრად ზურგიდან მოგვესმა მოტორების გუგუნი. ჩვენ დავინახეთ საბჭოთა ფოლადის არწივები, რომლებიც ორ ჯგუფად გაყოფილნი მტრის მიერ დაკავებული სიმაღლეებისკენ მიჰკრიდნენ. ჩვენი არტილერია ქვლავ სცემს მიზანში, და როცა მტრის თავზე ჩაწყრილი ყუმბარების რიცხვი გაორკეცდა, იაპონელებმა მოჰკურცხლეს... მაგრამ ახლა ჩვენები აღარ უშვებდნენ. ის, ვისაც ნებით არ უნდა წავიდეს, აღარ უნდა გაუშვა, უნდა მოსპო...

უეცრად ჩვენს თვითმფრინავებს, რომლებიც ერთტონიან და ცოტა უფრო მეტი წონის „მოკოლადებს“ უყრიდნენ იაპონელ „სტუმრებს“, მტრებმა დაუშინეს საზენიტო არტილერიიდან და ჩვენი ერთი თვითმფრინავი ბოსწყდა თავის ხაზს, უწესრიგოდ წავიდა ძირს. გული წამით გაგვეყინა. სამურაები მას უკვე აღარ ესვრიან, სხვას მიუშვირეს ლულები. კიდევ ცოტა და ჩვენი თვითმფრინავი დაეხეთქება მიწას, მაგრამ იგი უეცრად გასწორდა და ტყვიის სეტყვა დაუშინა იაპონელთა საზენიტო არტილერისტებს. ორიოდე წუთი და მტრის საზენიტო ქვემეხებთან ერთი კაციც აღარ დარჩენილა ცოცხალი.

ჩვენ ავიღეთ ზაოზერნაიას სიმაღლე. იაპონელები მაინც არ დაწყნარდნენ, კვლავ სცადეს აეღოთ ჩვენი სიმაღლე. მაგრამ ჩვენი პასუხი ასეთი იყო: რაც ბოლშევიკებმა თავის ხელში აიღეს, უკან აღარ იძლევიან!.

○

ლეიტენანტი შევჩუკი ამბობს:

— ჩვენი მებრძოლები ამტკიცებდნენ თავიანთ უსაზღვრო სიყვარულს სამშობლოსადმი, თავიანთი ხალხისადმი. ჩემს დანაყოფში იბრძოდა წითელარმიელი ამბალოვი. მე გამამაცა მისმა გმირობამ.

...იცინოდა, მთელი საათის განმავლობაში ღიმილი არ მოშორებია სახეზე. ვკითხე, რა გაცინებს ეთქი? არაფერიო. თურმე დაჭრილი იყო და არ უნდოდა გაემხილა. ეს მაშინ გავიგე, როცა მეორედ დაიჭრა და ეს ჭრილობა შეუხვიეს. კაცი სისხლისაგან იცლებოდა, მაინც ტყვიამფრქვევს არ შორდებოდა. როცა მკაცრად ვუბრძანე უკან წასულიყო, შემეხვეწა:

— ამხანაგო ლეიტენანტო! ნება მომეცით დავრჩე აქ. მე მათ ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ გადავუხადე. გთხოვთ, დაბეჯითებით გთხოვთ!

ბეტი გამოსავალი არ იყო. დავტოვე.

ერთერთი საარტილერიო ბრძოლის დროს იაპონელთა მიერ გამოსროლილი 100 ყუმბარიდან მხოლოდ 4 აფეთქდა, ისინიც სრულიად უშედეგოდ.

ბრძოლის დროს ჩვენს სანგრებში ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა პარტიულ - კომკავშირული მუშაობა. 6 აგვისტოს, გადამწყვეტი ბრძოლის წინ, სანგარში შესდგა ჩემი დანაყოფის კომკავშირული ორგანიზაციის კრება. 10 კომკავშირელს მივეცით რეკომენდაცია პარტიაში შესასვლელად. აქვე გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც ყველაზე მეტად თავი ისახელა მებრძოლმა ჩისტიაკოვმა. ის მტრის თვითეული წერტის განადგურებას სრულ სამ წუთს ანდომებდა.

○

ასეთი მებრძოლები ჰყავს ჩვენ წითელ არმიას. მსოფლიოში არ მოიპოვება ძალა, რომელსაც შეეძლოს ასეთი არმიის დამარცხება.

ერთგულნი ვიქნებით დიადი ფიცისა

ჩვენი წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მთელი პირადი შემადგენლობა, წითელფლოტელიდან ფლაგმანამდე, დაძაბულ საბრძოლო მუშაობას ეწევა და სწავლობს, იმყოფება რა სამხედრო ფიცის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა ღრმა შთაბეჭდილების ქვეშ.

განსაკუთრებით დიდ სიხარულს განვიცდით ჩვენ, ახალგაზრდა წითელფლოტელები, რომლებიც ახლად მოსულნი ვართ ფლოტში.

რა შეიძლება იყოს სოციალიზმის ქვეყნის მეომრის სახელწოდებაზე უფრო საპატიო და მაღალი!

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXI წლისთავის დღეს ჩვენ პასუხისმგებლობის სრული შეგნებით დავდებთ საზეიმო ფიცს ჩვენი ხალხის, ჩვენი საყვარელი დიადი სამშობლოს წინაშე.

ჩვენი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ერთგული ვიქნებით დიადი ფიცისა.

დაე იცოდნენ მტრებმა, რომ ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი და მთელი საბჭოთა ხალხი უძლეველია.

მ. ფ. ეფრემენკო, პ. პ. ყაკაროვი, კ. ა. ბიკოვი.

სახაზო გემ „ოქტიაბრსკაია რევოლუციას“ ახალგაზრდა წითელფლოტელები, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები.

ჩემი სიცოცხლე სამშობლოს ეკუთვნის

ახლა ჩემი სანუკვარი ოცნება — გავეზღვარიყავ ჩვენი სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმიის მებრძოლი. ვიღებდი რა ამ მაღალ და საპატიო სახელწოდებას, მე აღთქმა დავდე ვიყო საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი, და ღირსეულად ვასრულებ ჩემს დაპირებას.

დღეს მე უდიდესი სიხარულითა და სიამაყით წარმოვსთქვამ სამხედრო ფიცის ოქროს სიტყვებს, დავადასტურებ მას ჩემი ხელმოწერით და ერთი ნაბიჯითაც არ გადავუხვევ ჩემს საზეიმო ფიცს.

ი. ი. კაჩალოვი

ლ. ს. ო. საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი მებრძოლი.



ბალტიის ფლოტი. საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები ვ. კოჟარინოვი (მარცხნივ) და ბ. გლოტოვი პრაქტიკულ ვარჯიშზე ლაშქრობის დროს.

საკდესის ფოტოქრონიკა

ვუცავ სამშობლოს

მე არ მახსოვს სამშობლოს შორეული გოდება,
მე არ მახსოვს სამშობლოს
გულზე ცეცხლის მოდება.
მე ვიხილე ქვეყანა
ზეოლოდ ლაღი, ფრთოსანი,
როცა ჩვენში დამკვიდრდა
შრომა პატიოსანი.
მე ვიხილე ქვეყანა
უკვე შრომით ნაგები,
საბჭოეთის გმირების
ბრძოლით ნაჭანდაკევი.

○

მე შენს შვილად ვითვლები,
თუმცა შენი ტოლი ვარ,
სიხარულით ნაზარდი
ავბედს ტყვედ არ ვყოლივარ
და სამშობლოვ შენთან ვარ
საქმითა და გონებით,
თავს გაგწირავ მე შენთვის,
გულში ჩაგეკონები.
ვფიცავ — ომში არ გატყდეს
შენი შვილი მედგარი,
ვფიცავ — წამით არ შედრკეს
შენი გმირი მხედარი,
ბრძოლაშიც რომ დავიჭრა
და მტერს ველარ ვკვეთავდე,
მაინც შენთვის ვიბრძოლებ
სისხლის ბოლო წვეთამდე!
დღეს საქვეყნოდ ფიცსა ვდებ
შენ დაგიცვა ფრთოსანი,
ეიყო მარად სამშობლოს
შვილი პატიოსანი!

○

ვაშა იმას, ვისი მზით
ჩემი გული ინთება —
გაუმარჯოს დიდს სტალინს,
მას ვაშა და დიდება!

ზოთა ლაბარტყავა

წითელი კურსანტი.



არტილერია საბრძოლო პოზიციებზე.

მხატვარ სიდამონ ერისთავის სურათი.



ისტორიული კრეისერი „ავრორა“.

ფოტო ოთ. ეგაძისა

ვსევოლოდ ვიშნევსკი

ფ ი ც ი

სტალინური კონსტიტუციის შესაბამისად, საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახები სტატიების შესაბამისად, გამოქვეყნებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი სამხედრო ფიცის ტექსტის შესახებ. ფიცის დადება ამჟამად ინდივიდუალური ფიცის ხასიათს ღებულობს. წითელი არმიისა და წითელი ფლოტის თვითეული მეომარი ემზადება წმინდათა - წმინდა აქტისათვის, ღრმად შეიცნობს რა სამხედრო სამსახურის დედაარსს, მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო რევოლუციურ ტრადიციებს.

რა იყო ფიცის დადება ძველ, მეფის არმიაში? რა პირობებში უხდებოდათ ფიცის დადება? შემოდგომაზე ქვეფისა და ლოთობის შემდეგ ახალწვეულებს ღრიანცელით, გოდებითა და მოთქმით მიაცილებდნენ მაზრაში სამხედრო უფროსთან. აქ ახალწვეულებს ჰუმყიან ბინებში თითო პატარა ოთახში 20-30 კაცს ერთად ჩაჰყრიდნენ; ისინი პირდაპირ იატაკზე ეყარნენ და ელოდებოდნენ, „გარეკდნენ“ მათ ჯარში თუ არა. ხდებოდა საქმაოდ ხერელე საეჭვო გასინჯვა. ზოგიერთი მდიდრები იქვე აწყობდნენ თავიანთი შვილების განთავისუფლებას სამხედრო სამსახურიდან. მას შემდეგ, რაც მიღებულთა სიებს გამოაცხადებდნენ, ახალწვეულებს ფიცს ადებინებდნენ. ახალგაზრდა სოფლელ ბიჭებს, მეტწილად წერა-კითხვის უცოდინართ, ეზოში მოუყრიდნენ თავს. მათ არ ესმოდათ, თუ რისთვის ჭორეკეს ისინი ნახირივით, ამიტომ ეკითხებოდნენ ძველ ნამსახურ ჯარისკაცებს, რომლებიც ბოხი ხმით უპასუხებდნენ: „აი ახლა გიჩვენებენ თქვენ სეირსო“.

უფროსებისა და სამღვდელოების გამოსვლას საათობით ელოდებოდნენ.. ბოლოს უფროსები გამოჩნდებოდნენ. დაზეპირებული კაზიონური სიტყვებით სამხედრო უფროსი გამოუცხადებდა იხალწვეულთ: „რა არის ფიცის დადება?... ფიცის დადება არის ფიცი უფალი ღმერთისა და ცისი წმინდა ჯვრისა და სახარების წინა“—ემსახურო ერთგულად და სიმართლით ხელმწიფე იმპერატორს და მის ტახტის მემკვიდრეს...“ ამ სიტყვების ნახევარი მაინც ახალწვეულთ არ ესმოდათ, ან ბუნდოვნად ესმოდათ.

შემდეგ, მრავალი თვის მანძილზე სასტიკ, ცემა-ტყეპით აღსავსე ყაზარმულ პრაქტიკას რომ გაივლიდნენ, ახალწვეულნი მწყრად შეიცნობდნენ, თუ რა იყო მეფის სამსახური და რა იყო იძულებითი ფიცი მეფისადმი. ახალწვეულთ ოდნავ რომ გაწრთვნიდნენ, მეფის ხელისუფალნი ხელმეორედ ადებინებდნენ მათ ფიცს. კვლავ მეორდებოდა საეკლესიო პროცედურა. ახალწვეულს არც ახლა ესმოდა ცისი მნიშვნელობა, ვინაიდან მას არაფერს უხსნიდნენ, მას სთხოვდნენ მხოლოდ განუსჯელ მორჩილებას უფროსებისადმი, აქცევდნენ მას საზარბაზნე ხორცად და ერეკებოდნენ სასაკლაოზე—მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესებისათვის.

ასეთსავე პოლიტიკას ატარებდა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სამუდამოდ მოსპო ბურჟუაზიული და მემამულური წყობილება და მასთან ერთად სამუდამოდ მოსპო ძველი, ხალხის საწინააღმდეგო იძულებითი ფიცი.

საბჭოთა ხალხმა შეჰქმნა თავისი საკუთარი, სისხლხორცეულად ხალხური, მუშურ-გლეხური წითელი არმია.

ახალი, სოციალისტური სამხედრო ფიცის სული, დედაარსი იშვა 1917-1918 წწ. ზამთარში, სოციალისტური არმიის პირველი ეშელონების გაცილებისას. 1918 წლის 14 (1) იანვარს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ჩვენი არმიის პირველ მოხალისეებს უთხრა:

„ამხანაგებო, თქვენი სახით ჩვენ მივესალმები რუსეთის პროლეტარიატის გადაწყვეტილებას იბრძოლოს რუსეთის რევოლუციის გამარჯვებისათვის, მისი დიადი ლოზუნგების გამარჯვებისათვის არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხთა შორისაც... ჩვენ უნდა დავანახვოთ ქვეყანას, რომ ჩვენ ვართ ძალა, რომელსაც შესწევს უნარი გადალახოს ყველა დაბრკოლება წსოფლიო რევოლუციის გზაზე. დაე სანგრებში მიმავალმა ამხანაგებმა გაამხნეონ სუსტები და მერყეები, და თავისი პირადი მაგალითით აღაფრთოვანონ ყველა დაღლილნი“.

ლენინის გვერდით, მის მხარდამხარ მიდიოდა ჭისი ერთგული თანამებრძოლი სტალინი.

სამოქალაქო ომის სუსხიან წლებში ლენინისა და სტალინის ხელში თავს იყრიდა რესპუბლიკის დაცვის ყველა ძაფები. ლენინი სათავეში ედგა უმაღლეს სამხედრო ორგანოს — თავდაცვის საბჭოს და მუშაობდა ქვეყნის შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის ყველა საკითხზე. იგი პირადად სინჯავდა სამხედრო ოპერაციების გეგმებს, ლენინის უახლოესი თანაშემწე და მრჩეველი წითელი არმიის შექმნისა და განმტკიცების საქმეში, ისევე როგორც ყველა სხვა საკითხში, ამხანაგი სტალინი იყო. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ლენინის დავალებით სამოქალაქო ომის ყველა უძნელეს და ყველაზე საშიშ უბნებზე მუდამ ამხანაგი სტალინი იგზავნებოდა. და ის მტკიცე ხელით აწყობდა წითელი არმიის გაბარჯგვებებს.

სტალინი გადამწყვეტ უბნებზე იყო შეიარაღებული ბრძოლის ყველაზე უძნელეს დღეებში. 1918 წელს მან ფეხზე დააყენა უკრაინელი ხალხი წმინდათა-წმინდა ომისათვის სამშობლოს დასაცავად, გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. იმ დღეებში სტალინის მოწოდების პასუხად ბრავალი ათასი მოხალისე შედიოდა წითელი არმიის რიგებში და სდებდა ფიცს თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგულებაზე.

აი როგორ იბრძოდნენ ასეთი ადამიანები ქალაქ ნიკოლაევში — ჩვენი სამხრეთის სახელოვან მუშურ საზღვაო ცენტრში.

გერმანელები მოღალატურად შემოუშვეს ჩვენს ტერიტორიაზე ტროცკის და ბისმა დამჭაშებმა. გერმანელები მოიწევდნენ ნიკოლაევისაკენ, რათა ხელში ჩაეგდოთ უმდიდრესი გემსაშენი ქარხნები და მთელი რიგი სამხედრო გემები, რომლებიც მაშინ შენდებოდა. მოღალატეებმა, რომლებიც ხურგში მოჰქმედებდნენ, საკეტები მოხსნეს ონჩაკოვის ფორტის სიმაგრეთა ქვემეხებს. 1918 წლის 16 მარტს ღამით მოღალატეებმა გერმანელებს უჩვენეს ქალაქის გზა, ზურგიდან შემოსავლელად. ნიკოლაევის ბოსახლეობა შედრკა. თითქოს ბრძოლა გვიანდა იყო. მაგრამ მებრძოლები, რომლებმაც ფიცი დასდეს, მზად იყვნენ ყველაფრისათვის. იმპერიალისტური ომის ჯარისკაცებმა იარაღი მოითხოვეს: „რუს ჯარისკაცებს კიდევ შეუძლიათ დაუმტკიცონ გერმანელებს, რომ ჩვენმა ხალხმა ბრძოლა იცის“. ნიკოლაევის მოქალაქენი ეკვეთნენ ქალაქში შემოსულ გერმანელთა ნაწილებს, თითქმის უიარაღონი ეკვეთნენ მთელ ქვეითა დივიზიას, საარტილერიო დივიზიონს (რამდენიმე ათეული ბატარეა), ორ ჯავშნიან მატარებელს და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულ რამდენიმე ავტომანქანას. გერმანელებმა ქალაქს ჰაერიდან დააყარეს ყუმბარები, ცეცხლი წაუკიდეს მას. ფიცის ერთგული მებრძოლნი გაანგარძობდნენ ბრძოლას გერმანელთა რეზერვების რაკლში. ბრძოლა განუწყვეტლივ სწარმოებდა. მოხალისენი, წითელარმიელები და მეზღვაურები პოზიციებს არ სთმობდნენ. გერმანელები ერთიმეორეზე სწვავდნენ სახლებს, ხვრეტდნენ ყველას, ვინც კი შეხვდებოდათ, ჯანურჩევლად სჭესისა და ასაკისა. ჯარხანა „ელვორტისთან“ გერმანელები წითელ ბებრძოლთა უკანასკნელ ჯგუფს უშენდნენ. ბევრ წითელ მებრძოლს უკვე ცეცხლი ეკიდა ტანისამოსსა და ფეხსაცმელზე, მაგრამ ისინი სროლას მაინც განაგრძობდნენ. წითელარმიელთა პოზიცია მიუვალი იყო. გმირებმა სამ დღეღამეზე მეტს გასძლეს... სროლის მიხედვით ეტყობოდა, რომ პოზიციაზე ერთი ადამიანიღა დარჩა. იგი განაგრძობდა ბრძოლას უკანელ-უსმენლი... იგი არ დანებდა—ეს მებრძოლი ბოლშევიკი!

გერმანელებს ეგონათ, რომ მათ ხელთ იგდეს ნიკოლაევი. ბათ შემოიღეს ჯატორღული რეჟიმი. მაგრამ დამორჩილდა თუ არა უკრაინა, დამორჩილდა თუ არა ნიკოლაევი? არა, არასოდეს! ბრძოლა ჩაღდებოდა. გერმანელებს აქ უკვე 20 ათასამდე მეომარი ჰყავდათ. მაგრამ განა შეიძლებოდა ხალხის შეკავება! სტალინი ფეხზე აყენებდა მთელ უკრაინას. მედგრად უტევდა შორსი. და გერმანელები დამარცხებულ, განადგურებულ იქნენ. ქალაქ ნიკოლაევის გერმანული გარნიზონი დანებდა.

სამხედრო მოვალეობის წმინდად, თავდავიწყებით შესრულების, სამხედრო ფიცის შესრულების ათასობით, ასეულათასობით, მილიონობით მაგალითები გვიჩვენებს ჩვენმა მებრძოლებმა, მეთაურებმა, კომისრებმა. ეს მაგალითები ინდივიდუალურიც იყო და კოლექტიურიც. ახსოვდათ რა ფიცი, ჩაუჭრობელი ცეცხლით გულში, ეკვეთებოდნენ მოწინააღმდეგეს მთელი პოლკები და დივიზიები. აი სახელგანთქმული მე-4 ცხენოსანი დივიზიის ერთერთი საქმე.

ეს დივიზია ყალიბდებოდა ცარიცინთან განუწყვეტელი ბრძოლების პირობებში. ფრონტიდან აწვებოდნენ გერმანელთა დაჭირავებულნი—გენერალ კრასნოვის ბანდები, ზურგიდან ყოველნაირად ეწეოდა მავნებლობას იუდა-ტროცკი. მისმა ხელქვეითებმა მოუსპეს დივიზიას მოწინაგება, ფურაჟი, შეესება. მაგრამ დივიზია მაინც არსებობდა. იგი იბრძოდა, თავისი ხალხის, თავისი საბჭოთა სამშობლოს ერთგული.

იგერიებდა რა მტერს ფრონტიდან და ფლანგებიდან, დივიზიამ ჩაჩეთი ჩააგდო ალყაში

შავი ზღვის წითელფლოტელთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. სურათზე: უკრაინული ცეკვა.
საქდესის ფოტოქრონიკა

გერმანია არაჩვეულებრივი ამბებისთვის ემზადება

ლონდონი, 21 თებერვალი (საქდესი). გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანიაში სწარმოებს გაძლიერებული მზადება იმ არაჩვეულებრივი ამბებისათვის, რომელთაც მარტში მოელიან. საზღვაო ხელისუფლებამ გააფრთხილა კაპიტნები დიდი გემებისა, რომლებიც შეიძლება გადაქცეულ იქნან დამხმარე კრეისერებად, რომ მათ ნება ეძლევათ გავიდნენ ზღვაში ისეთი ვარაუდით, რომ დაბრუნების საშუალება ჰქონდეთ გერმანიის ან იტალიის ნავსადგურებში 1 მარტისათვის.

ამბობენ, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავების ორი ფლოტილია ჩატარების მანევრებს ატლანტის ოკეანეში და შესაძლებელია ხმელთაშუა ზღვაშიც. გერმანიის არმიის ოფიცრებსა და რიგითს შემადგენლობას შეუწყვეტეს შვებულება. საბაოსნო კომპანიები მეტად უხალისოდ აღებენ ბილეთების წინასწარ შეკვეთას ამერიკაში გასამგზავრებლად. მარტის თვისათვის მკვეთრად შეზღუდულია რეისები ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ.

კორესპონდენტი შემდეგ აღნიშნავს, რომ, მიუხედავად თუჯის წარმოების განუწყვეტელი ზრდისა გერმანიაში, მთავრობა აღებს განგებო ზომებს რკინის ყოველგვარი რესურსების მობილიზაციისათვის. მთელს გერმანიაში, სწერს კორესპონდენტი, არღვევენ რკინის მოაჯირებს, რკინის ჭიშკრებსა და რკინის სამკაულებს. სასაფლაოებზეც კი ხსნიან ლითონის ჯვრებს და მათ ნაცვლად ხის ჯვრებს სდგამენ.

ბერარის მოლაპარაკება ბურგოსში

პარიზი, 21 თებერვალი (საქდესი). პარიზში მიღებული ცნობებით, ესპანელ მეამბოხეთა ხელისუფლებამ საფრანგეთის მთავრობის რწმუნებულს სენატორ ბერარს ბურგოსში განსაკუთრებით გულგრილი მიღება გაუმართა. ბერარი იძულებული გახდა თავისი მოლაპარაკება მეტწილად ეწარმოებინა ბურგოსის „მთავრობის“ ეგრეთწოდებულ „საგარეო საქმეთა სამინისტროს“ მეორეხარისხოვან მოხელეებთან, და არა ამ დაწესებულების მეთაურ გენერალ ხორდანასთან. ბერარი „ვერ ეღირსა“ გენერალ ფრანკოსთან შეხვედრას. პარიზში ამტკიცებენ, რომ გენერალი ფრანკო სრულიად უარჰყოფს საფრანგეთის ხელისუფალთა მიერ ბურგოსის „მთავრობის“ ცნობის ყოველგვარ წინასწარ პირობას. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დაახლოებული წრეები ცდილობენ შეჰქმნან ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ბერარი და ხორდანა მორიგდნენ შეთანხმების „მისაღებ პირობებზე“ და რომ მოლაპარაკების საბოლოოდ დამთავრება დამოკიდებულია უკვე მხოლოდ საფრანგეთის მთავრობასა და თვით გენერალ ფრანკოზე. რეაქციული გაზეთები აჩქარებენ საფრანგეთის მთავრობას ესპანელ მეამბოხეთა ხელისუფლების ცნობისათვის. საფრანგეთის გაზეთი „პტი პარიზიენი“ აცხადებს, რომ „საკითხის გამოკვლევა უკვე დამთავრდა“ და რომ „გენერალ ფრანკოს ცნობა კვლავ აღარ უნდა გაჭიანურდეს“.

პარიზი, 21 თებერვალი (საქდესი). დღეს პარიზს ჩამოვიდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთერთი გამოჩენილი მოხელე სენი, რომელიც თან ახლდა სენატორ ბერარს ბურგოსში. მოგზაურობის დროს სენმა ჩამოიტანა საგარეო საქმეთა სამინისტროს ბერარის მოხსენება მოლაპარაკების შედეგების შესახებ. დღეს საღამოსვე სენი ისევე გაემგზავრება პარიზიდან ბურგოსს.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლომდგომი გაზეთების განცხადებით „ბერარის მოხსენებამ საფრანგეთის ოფიციალურ წრეებში მეტად ხელსაყრელი შთაბეჭდილება მოახდინა“. ხვალ ბერარი განაახლებს თავის მოლაპარაკებას გენერალ ხორდანასთან.

ესპანეთის რესპუბლიკური არმიის მაღალი მორალური მდგომარეობა

პარიზი, 21 თებერვალი (საქდესი). მადრიდის გაზეთი „ვოს დელ კომბაციენტე“ („მებრძოლის ხმა“) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რესპუბლიკური არმიის მებრძოლებს უდიდესი აღტყინება ემჩნეოდათ და მტკიცდება მათი ნებისყოფა — მიაღწიონ გამარჯვებას ინტერვენტებისა და მეამბოხეების წინააღმდეგ ბრძოლაში. გაზეთი აღნიშნავს, რომ „რესპუბლიკური არმიის ძალები დღითი-დღე იზრდება იმასთან დაკავშირებით, რომ ჯარის ნაწილებში მოდიან მობილიზებულნი და მოხალისენი, რომელნიც გამოეხმაურნენ რესპუბლიკის მოწოდებას“.

ს. თავაძე

სამხედრო ხელოვნების ოსტატები

დილაადრიანად პროსპექტზე რაზმეულები ჩაიელიან.

უნებლიეთ შესდგები და თვალს ვერ აშორებ.

გხიბლავს არა გარეგნული მოკაზმულობა, არამედ დაუშრეტელი შინაგანი ძალა, თვითეული ვაჟკაცის ნათელი, ძლევამოსილი გამომეტყველება.

და არა მარტო მათი შთაგონებული სახეები, არამედ მათი სვლა, მათი მიხვრა-მოხვრა, მათი რიტმდაურღვეველი ნაბიჯი, მათი წრთობილი აღნაგობა—ყველაფერი მეტყველებს, რომ ეს ღომგულოვანი ვაჟკაცები არავითარი საფრთხის წინაშე უკან არ დაიხევენ, თვით სიკვდილს თვალს გაუსწორებენ, ბეწვის ხიდზე გაივლიან და ჩვენი დიადი სამშობლოს ბრწყინვალე დროშას გამარჯვებიდან გამარჯვებამდე ატარებენ.

ის, სიმღერა შემოსძახეს, გამარჯვებული ქვეყნის სიმღერა, ძლიერი, შეუდრეკელი, ზეაღმავალი. გუნებაში მათთან ერთად იმღერი და ვამბობ:

„დასძეძეთ, დაიგუგუნეთ,
ჭრიმე, ხმებო ნაცადო!
ლენინის პირმშო შვილებო,
სტალინის სიბრძნის ნაზარდო!“

ეს ვაჟკაცები, დღესაღრიადან რომ ასე მკვრივლად მოდიან რიტმდაურღვეველი ნაბიჯით, თბილისის 26 კომისრის სახელობის სამხედრო სკოლის კურსანტები არიან.

ამ სკოლამ მრავალი მეთაური მისცა ჩვენს არმიას; აქ სწავლობენ ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველი კუთხიდან მოსული რჩეული ვაჟკაცები; ამ სკოლაში გამეფებულია ის ცხოველმყოფელი ინტერნაციონალური სულისკვეთება, რომლითაც მუდამ ძლეველი იყო და არის ჩვენი წითელი არმია.

შედიხარ სკოლაში, ესაუბრებით კურსანტებს და უმალვე რწმუნდებით, რომ საქმე გაქვთ ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანებთან, ინტელიგენტებთან ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით. ესენი არიან გლეხებისა და მუშების წოდიდან გამოსული ახალი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. ესენი არიან არა მარტო ძლევამოსილი თავდაცვისა და გამანადგურებელი თავდასხმის ოსტატები, არამედ ლენინისა და სტალინის იდეებით შეიარაღებული, ჰორიზონტგაშლილი მებრძოლნი.

აი ამბ. ილია ვოლოხი, ამ სკოლის კურსანტების ტიპიური წარმომადგენელი. ვას რომ ესაუბრებით, მისი დევმირული აღნაგობა, ან რაიმე განსაკუთრებული ფიზიკური ძალა კი არ იპყრობს თქვენს ყურადღებას, არა, იგი საშუალო ტანის ჭაბუკია, შავგვრემანი; ინტელიგენტური გამომეტყველება შეზავებია მის შინაგან ძლიერებას.

ამბ. ილიამ ათწლედი ფრიადზე დაამთავრა. ინსტიტუტის სტუდენტი იყო, როდესაც სამხედრო ხელოვნების შესწავლა გადასწყვიტა.

პირველ კურსზე რამდენჯერმე მიიღო მადლობა და საჩუქარი. მთელ რიგ ლაშქრობაში გამოიბრძოლა მისი ძალღონე.

ახლა მეორე კურსზეა და სწავლაში ერთი პირველთაგანია.

მეორე კურსანტს — ორდენოსან სერგეი კარპოვს რომ ესაუბრებით, განსაკუთრებით გიზიდავთ მისი ღიმილი. და ეს იმიტომ, რომ ტუჩზე ნაჭრილობები აჩნია, და იგი სანღომაზე იცის ჰფენს მის მრგვალ სახეს.

ამბ. კარპოვი უღარიბესი გლეხის შვილია, ბავშვობაში თავის ოჯახთან ერთად დიდი გაჭირვება გამოუვლია. 1928 წელს გაიწვიეს არმიაში, იქ დიდი ნიჭი გამოიჩინა და 9 თვეში ტანკის რთული ტექნიკა ითვისა.

1929 წელს თავისი ტანკით მონაწილეობა მიიღო შორეულ აღმოსავლეთში თეორგანდილებთან შეტაკებაში. ამ სახელოვანი ბრძოლის დროს დაიჭრა. დაჯილდებულია წითელი დროშის ორდენით.

— ორი წლის წინათ, როდესაც აქ სწავლა დავიწყე, — ღიმილით ამბობს ამბ. კარპოვი, — ფრიადის მიღება მიძნელდებოდა. შემდეგ თანდათან დავძლიე ეს და ახლა ერთი „კარგი“-ღა მაქვს. მაღე, თუ 21 წლისთავისათვის არა, პარტიის XVIII ყრილობისათვის მაინც მასაც „ფრიადად“ ვაქცევ.

— მამაჩემი კოლმეურნეობაში კარგად ცხოვრობს, ჩემი მეორე ძმაც არმიაშია, ხოლო ჩემი მეუღლე უმაღლესში სწავლობს, მესამე კურსზეა. ვცდილობთ არ ჩამოვრჩეთ ჩვენს დიდ ეპოქას.

უსმენთ ამ ორდენოსან მებრძოლს და თვალწინაც ხედავთ, თუ როგორ იზრდებიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანები, ძლევამოსილი პატრიოტები. რომლებიც მთელი ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს ქეთილდღეობით სულდგმულობენ.

აი ამბ. ალექსანდრე დორონინი, კომის სამხედრო ხელოვნების შესწავლა გადასწყვიტა. ინსტიტუტის სტუდენტი იყო, როდესაც სამხედრო ხელოვნების შესწავლა გადასწყვიტა.

პირველ კურსზე რამდენჯერმე მიიღო მადლობა და საჩუქარი. მთელ რიგ ლაშქრობაში გამოიბრძოლა მისი ძალღონე.

ახლა მეორე კურსზეა და სწავლაში ერთი პირველთაგანია.

მეორე კურსანტს — ორდენოსან სერგეი კარპოვს რომ ესაუბრებით, განსაკუთრებით გიზიდავთ მისი ღიმილი. და ეს იმიტომ, რომ ტუჩზე ნაჭრილობები აჩნია, და იგი სანღომაზე იცის ჰფენს მის მრგვალ სახეს.

ამბ. კარპოვი უღარიბესი გლეხის შვილია, ბავშვობაში თავის ოჯახთან ერთად დიდი გაჭირვება გამოუვლია. 1928 წელს გაიწვიეს არმიაში, იქ დიდი ნიჭი გამოიჩინა და 9 თვეში ტანკის რთული ტექნიკა ითვისა.

1929 წელს თავისი ტანკით მონაწილეობა მიიღო შორეულ აღმოსავლეთში თეორგანდილებთან შეტაკებაში. ამ სახელოვანი ბრძოლის დროს დაიჭრა. დაჯილდებულია წითელი დროშის ორდენით.

— ორი წლის წინათ, როდესაც აქ სწავლა დავიწყე, — ღიმილით ამბობს ამბ. კარპოვი, — ფრიადის მიღება მიძნელდებოდა. შემდეგ თანდათან დავძლიე ეს და ახლა ერთი „კარგი“-ღა მაქვს. მაღე, თუ 21 წლისთავისათვის არა, პარტიის XVIII ყრილობისათვის მაინც მასაც „ფრიადად“ ვაქცევ.

— მამაჩემი კოლმეურნეობაში კარგად ცხოვრობს, ჩემი მეორე ძმაც არმიაშია, ხოლო ჩემი მეუღლე უმაღლესში სწავლობს, მესამე კურსზეა. ვცდილობთ არ ჩამოვრჩეთ ჩვენს დიდ ეპოქას.

უსმენთ ამ ორდენოსან მებრძოლს და თვალწინაც ხედავთ, თუ როგორ იზრდებიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანები, ძლევამოსილი პატრიოტები. რომლებიც მთელი ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს ქეთილდღეობით სულდგმულობენ.

აი ამბ. ალექსანდრე დორონინი, კომის

თბილისის სამხედრო სასწავლებლის კურსანტები ა. დორონინი, ს. კარპოვი (ორდენოსანი) და ი. ვოლოხი.
საქდესის ფოტოქრონიკა

სასტუმრო „თბილისი“

დღეს, 23 თებერვალს, რუსთაველის პროსპექტისა და ჯორჯიაშვილის ქუჩის კუთხეში თლილი ქვის მშვენიერ სტილზე ნაგებ ხუთსართულიან შენობაში გაიხსნება ახალი სასტუმრო „თბილისი“. 114 სასტუმრო ოთახია იქ და 7 ლიფტი. მომსახურე პერსონალი 110 კაცისგან შესდგება.

მთავარ შესავალს მარმარილოს სვეტები ამშვენებენ. ვესტიბული მდიდრულად და დიდის გემოვნებითაა მორთული ნოხებით, ჭიქონარეებით, სარკეებით. ცნობათა ბიუროები, კიოსკები, დასასვენებელი დარბაზი, საკორესპონდენტო, საპარიკმახერო და სხვ. მოწყობილია პირველ სართულზე. ამავე სართულზეა ახლად მოწყობილი და ჯარგად გამართული რესტორანი.

სასტუმროს თვითეულ სართულს საკუთარივ მიჩენილი პერსონალი ჰყავს. ნომრები დიდის გემოვნებითა და ოსტატობითაა მორთული. არის რამდენიმეოთახიანი ნომრები, ე. წ. „ლუქსები“. განსაკუთრებული გემოვნებითა და სტილითაა ნაკეთები ავეჯი — სკამები, მაგიდები, სავარძლები, საძინებლები.

არის ოროთახიანი და თითო ოთახიანი ნომრებიც (მეორე და მეხუთე სართულებზე). ეს ნომრებიც ძვირფასად და ლამაზად მორთულია. ყოველ ნომერს აქვს აბაზანა, ტელეფონი და რადიო.

სასტუმროსთან გახსნილია ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, სამეწველო საქონლის კიოსკი და ტაბისამოსისა და ფეხსაცმლის სახელდახელოდ შესაკეთებელი სახელოსნო „ამერიკანკას“ ტიპისა

სასტუმრო გაიხსნება დღეს, 23 თებერვალს. სასტუმრო „თბილისში“ პირველად ღამეს გაათევენ საქ. კ. პ. (ბ) მეთორმეტე ყრილობის დელეგატები.

„თბილისი“ ერთერთი საუკეთესოდ მოწყობილი სასტუმროთაგანია.

სასტუმრო „თბილისი“. ერთერთი ოროთახიანი ნომერი „ლუქსი“.
საქდესის ფოტოქრონიკა

კინოთეატრი „რუსთაველი“

რუსთაველის პროსპექტზე, საქართველოს მუზეუმის ვეებერთელა შენობის გვერდით ოთხსართულიანი ახალი შენობა ააგეს. ეს შენობა აგებულია კინოთეატრისათვის, რომელსაც მიკუთვნებული აქვს შთა რუსთაველის სახელი.

კინოთეატრი „რუსთაველი“ გაიხსნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეთვრამეტე წლისთავის აღსანიშნავად 25 თებერვალს. ეს კინოთეატრი მოწყობილია კინოტექნიკისა და აკუსტიკური ხელოვნების უკანასკნელს მიღწევათა მიხედვით. მაყურებელთა დარბაზის კედლები შეფერადებულია ხმის გამწოვნედი ქსოვილებით და აკუსტიკური ფარდასტით. მაყურებელთა დარბაზს მეორე და მესამე სართულები უჭირავს. დარბაზში სულ 1200 საჯდომი ადგილია. ეკრანთან აღმართულია ლენინისა და სტალინის დიდი ფიგურები.

ქვემო სართულში მოწყობილია დიდი დარბაზი ესტრადითა და ჯაზ-ორკესტრით. აქედან ფართო მარმარილოს კიბეებით მაყურებლები ადიან დარბაზში, გამოსასვლელად კი სხვა კიბეებია. დარბაზში მოწყობილია ვენტილაცია. ზაფხულობით სპეციალური მექანიზმების საშუალებით დარბაზში შემოშვებული იქნება გრილი ჰაერი, ხოლო ზამთარში თბილი ჰაერი.

კინოთეატრის გახსნის დღეს გაშვებული იქნება „დიადი განთიადის“ ქართული ვარიანტი. კინოთეატრის პირველ სტუმრებად ნიშნეული იქნებიან საქ. კ. პ. (ბ) მეთორმეტე ყრილობის დელეგატები.



კინოთეატრ „რუსთაველის“ ფასადი, გაფორმებული მოქანდაკე თოფურიძის მიერ შესრულებული ფიგურებით.
საქდესის ფოტოქრონიკა

ესპანეთის ფრონტებზე
ცენტრალური ფრონტი

მადრიდის რადიოსადგური გადმოგვცემს რესპუბლიკელთა არმიის შტაბის ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ 20 თებერვალს ფრონტებზე სიწყნარე გრძელდებოდა.

ჰავასის სააგენტოს ცნობით. ცენტრალურ ფრონტზე შენიშნულია ფაშისტთა ავიაციის ხშირი გაფრენები მდინარე ხარამის ზონაში და გვადალახარის პროვინციაში.

მადრიდის სექტორში 20 თებერვალს ინტენსიური საარტილერიო სროლა სწარმოებდა.

ცხოვრება მადრიდში

პარიზი, 21 თებერვალი (საქდესი). ესპანის სააგენტო იუწყება, რომ, მიუხედავად განუწყვეტელი ბომბარდირებისა, რასაც მადრიდი განიცდის ინტერვენტთა არტილერიის მხრივ, მოსახლეობის ცხოვრება ჩვეულებრივი წესით მიმდინარეობს. მცხოვრებნი ქუჩებში აფრთოვანებით ესალმებიან არმიაში ახლადგაწვეულ სათადარიგოთა ბატალიონებს. თეატრები და კინემატოგრაფიები გაჭედილია ხალხით. კარგ ამინდში მადრიდის ქუჩები სავსეა მოსეირნე ხალხით. ამ უახლოეს ხანში ქალაქში რესპუბლიკური არმიის მებრძოლთა ბავშვებისათვის ეწყობა სასადილოები, რომლებსაც ხსნის საფრანგეთის კომკავშირის მომხრე „საფრანგეთის ქალიშვილთა კავშირი“.

ბელგიის ახალი მთავრობა

ბრიუსელი, 21 თებერვალი (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, კათოლიკური პარტიის წევრმა სენატორმა პიერლომ შეადგინა ბელგიის ახალი კაბინეტი ასეთი შემადგენლობით: პრემიერ-მინისტრი — პიერლო, საგარეო საქმეთა მინისტრი — სენატორი სუდანი (სოციალისტი), იუსტიციისა — დეშრიევრი (კათოლიკე), შინაგან საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვისა — ზეელერსი (სოციალისტი). საზოგადოებრივ სამუშაოთა და ტრანსპორტისა — მარკი (ქრისტიან-დემოკრატი), ფინანსთა — გუტი (ლიბერალი), თავდაცვისა — გენერალი დენი, განათლებისა — ბლაკარი (სოციალისტი), სახალხო მეურნეობისა და მიწათმოქმედებისა — რიშარი.

ქრონიკა და მოხსენებები

● **24 თებერვალს,** დღის 1 საათზე, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ფიზიკის ლაბორატორიაში, 1 სართული) გამოსასვლელი დღის უნივერსიტეტის ლექციათა ციკლიდან პროფ. **ვ. ნ. ნიკოლაევი** რუსულ ენაზე წაიკითხავს ლექციას თემაზე: „შავი ზღვის ცხოვრების პირობები“.

შესვლა თავისუფალია.

● **25 თებერვალს** განსაბკომის ცენტრალური სალექციო-საექსკურსიო ბიუროს პლენარიუმის სახელობის კლუბში აწყობს პოლკოვნიკ **სერიოზნიკის** ლექციას თემაზე: „შუშურ-გლეხური წითელი არმიის XXI წლისთავი“ (გმირული ეპიზოდები). დასაწყისი საღ. 8 სათზე.

საოპერო სპექტაკლის— „ივანე სუსანინის“ გასინჯვა

21 თებერვალს ლენინის ორდენოსან დიდ სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მოხდა საოპერო სპექტაკლის—„ივანე სუსანინის“ საზოგადოებრივი გასინჯვა.

თეატრის კოლექტივმა, თავისი სამხატვრო ხელმძღვანელის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ს. ა. სამსუდისა და დამდგმელის, რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტის ბ. ა. მორდვინოვის მეთაურობით, შეჰქმნა ნამდვილად ხალხური საგმირო სპექტაკლი, რომელიც ასახავს რუსი ხალხის სიდიადესა და პატრიოტიზმს.

მთავარი როლის—ივანე სუსანინის როლის შემსრულებელმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ს. პიროგოვმა მოგვცა ცოცხალი სახე სახალხო გმირისა, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს თავისი სამშობლო და რომელიც თავის სიცოცხლეს სწირავს მას.

მაყურებელნი გულმხურვალედ შეხვდნენ ა. პონოს ანტონიდის როლის შემსრულებელს, რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს გ. ვ. ეუკოვსკაიას, ვანიას როლის შემსრულებელს—რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს—ბ. ი. ზლატოგოროვას და სანინის როლის შემსრულებელს—გ. ფ. ბოლშაკოვს.

საზოგადოებრივ განხილვას დაესწრნენ ამხანაგები—მ. ი. კალინინი, კ. ე. ეორიშელოვი, მ. მ. ლიტვინოვი, დედაქალაქის წარჩინებული ადამიანები — საბჭოთა კავშირის გმირები, საბჭოთა თეატრის უთვალსაჩინოესი ოსტატები, კომპოზიტორები, მწერლები.

ლოზუნგით: „სტალინის კონსტიტუციისათვის!“ „ამხანაგ სტალინისათვის!“. ხელყუმბარებით გავრეკეთ ისინი ჩვენი მიწა-წყლიდან.

გარწმუნებთ, რომ იაპონელი სამურაები ვერ იხილავენ ჩვენს შორეულ აღმოსავლეთს, ხოლო თუ თავს დაგვესხმიან, ისინი უთუოდ დაჰკარგავენ სიცოცხლეს.

ამ დღეებში კიევიდან გვესტუმრა წითელარმიელთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. მათ აღნიშნეს ხსოვნა საუკეთესო მეტყველიამფრქვეველისა—ამხ. ლაგოდასი, რომელიც ტყვედ ჩავარდა, დაკითხვის დროს სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ იაპონელებს ერთი სიტყვაც კი არ უთხრა თავის ნაწილზე. მათ მუქარას უპასუხა—„მე სამშობლოთი არ ვვაჭრობ, არც არაფერს გატყვითო“. ასე, ამხანაგებო, ვიყოთ ისეთი ურყევი მებრძოლი, როგორც ამხ. ლაგოდა“.

ხასანის ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ამ სკოლაში აღზრდილმა ალ. დოკორეევმა, რისთვისაც ის დაჯილდებულია წითელი დროშის ორდენით.

— ღამრილს რომ მივლიდნენ,—სწერს ის ამხანაგებს,—მაშინ განსაკუთრებით ვიგრძენი იმ დიდი მზრუნველობა, რასაც ჩვენში ადამიანების მიმართ იჩენენ... ახლანდელი ბრძოლა, ამხანაგებო, ერთობ დიდ ცოდნას მოითხოვს. ამიტომ კიდევ უფრო უნდა ვეძიებინეროთ სწავლა სამხედრო ტექნიკის ასათვისებლად.

— სკოლის ხელმძღვანელებს ვთხოვ გადასცენ ძხორცალე სალამი ჩვენი ბელადის საუკეთესო მოშაფეს, ფოლადისებურ ბოლშევიკს—ამხ. ლავრენტი ბერიას და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდალს ამხ. ტოღულეფეს“.

სკოლა სიამაყით ინახავს მის მიერ აღზრდილ, უკვე სახელმოხვეჭილ მებრძოლთა წერილებს. ამ წერილების რიცხვი თანდათან იზრდება, ვინაიდან ყოველი კურსდამთავრებულისათვის, რომლიც სკოლიდან მეთაურთა შემადგენლობაში გადადის, გახსნილია სიმამაცის, დიდებისა და გმირობის გზა.

26 კომისრის სახელობის სამხედრო სკოლა, საბჭოთა ქვეყნის სხვა სკოლებთან ერთად, მშობლიური მზრუნველობით ზრდის ჩვენი არმიის ახალ კადრებს, სამხედრო ხელოვნების ოსტატებს, ყოველმხრივ განათლებულ, მაღალი კულტურის მატარებელ მებრძოლებს, რომლებიც ღირსეულად და სახელოვნად, მთელი თავისი არსებით დაიცავენ დიდი სტალინის მზიური დროშით გაბრწყინვებულ ჩვენს საყვარელ სამშობლოს.

ერევნის სახელმწიფო ბიბლიოთეკა

სასტუმრო „თბილისი“. ერთერთი ოროთახიანი ნომერი „ლუქსი“.
საქდესის ფოტოქრონიკა

ბრძანება

საქ. სს რესპუბლიკაში წყალდიდობასთან და მის შედეგებთან მებრძოლი საგანგებო კომისიის თავმჯდომარისა

1939 წ. 17 თებერვალი, ქ. თბილისი

I. 1939 წელს წყალდიდობის დროს მოსალოდნელი ნგრევის თავიდან აცილებისათვის ზომების დროულად მიღების მიზნით, წინადადებას ვაძლევ ყველა იმ ორგანიზაციებს, ვის სამუშაოებსა და ქონებასაც წყალდიდობის საფრთხე ემუქრება, 10 დღის ვადაში წარუდგინონ საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს დასაბუთებული განაცხადები მათთვის საინტერესო პუნქტებში წყალდიდობის მსვლელობის შესახებ ცნობების მიწოდებაზე.

II. წყალდიდობასთან ბრძოლის ოპერაციების სამუშაოთა ხელმძღვანელობისა და კონტროლის მოწყობისათვის, საქ. სს რესპუბლიკაში წყალდიდობასთან და მის შედეგებთან მებრძოლი საგანგებო კომისიასთან შეიქმნას „საქ. სს რესპუბლიკაში წყალდიდობასთან და მის შედეგებთან მებრძოლი შტაბი“.

III. შტაბი მოეწყოს შემდეგი მუდმივი შტატისაგან:

1. წყალდიდობასთან ბრძოლის მთავარი ტექნიკური ხელმძღვანელი	1	კაცი
2. ინჟინერი-ინსპექტორი აღმოსავლეთ საქართველოში	1	„
3. ინჟინერი-ინსპექტორი დასავლეთ საქართველოში	1	„
4. ინჟინერი დაგეგმვის, სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების, ცნობების, ანგარიშგების, კარტოგრამებისა და სხვ. ხაზით	1	„
5. ტექნიკოსი—ივიეე	1	„

IV. წყალდიდობასთან და მის შედეგებთან მებრძოლი შტაბის ოპერატიული ხელმძღვანელობა დაეკისროს მთავარ ტექნიკურ ხელმძღვანელს.

V. წყალდიდობასთან მებრძოლმა შტაბმა თავისი ფუნქციების შესრულების დროს ყველაფერში იხელმძღვანელოს იმ კანონებითა და დადგენილებებით, რომლებიც არსებობენ წყალდიდობასა და მის შედეგებთან ბრძოლის ხაზით.

VI. მიმაგრებულ იქნან ადგილებზე საგაზაფხულო წყალდიდობის განმავლობაში შემდეგი მუშაკები:

ა. საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოდან

1. გ. გ. ჩხეიძე—ინჟინერი (ორბელიანის ქ., № 6).
2. ფ. ა. პაპარაია — წყალდიდობასთან ბრძოლის ინჟინერი - ინსპექტორი (ლერმონტოვის ქუჩა, № 20).
3. ა. ე. კანდელაკი—ინჟინერი-ინსპექტორი (ნინოწმინდის ქ., № 42).
4. მ. მ. მენაღარიშვილი — ინჟინერი-ინსპექტორი (ნინოშვილის ქ., № 19ა).
5. ვ. ხ. ძაგანია — საექსპლოატაციო სექტორის გამგის მოადგილე (შიო ჩიტაძის ქუჩა, № 3).
6. გ. ნ. ჯაფარიძე — ინჟინერი-ინსპექტორი (არსენალის გზატკეცილი, № 37).
7. მ. ბ. ლიბკინი—საპროექტო სექტორის ინჟინერი (პოპარბეგოვის ქუჩა, № 52).
8. ა. რ. ბერნაცკი — მშენებლობის უფროსი ინჟინერი (კალინინის ქ., № 48).
9. ა. კ. რამიშვილი — საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს მომარაგების განყოფილების გამგე (ბარონის ქ., № 14).
10. პ. ვ. ჭაბაკაშვილი — ინჟინერი-ინსპექტორი (თხინვალის ქ., № 22).
11. გ. ნ. ვოინიჩ-სიანოჟენსკი—ინჟინერი (გოგოლის ქ., № 10).

ბ. ერთიანი ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოდან (თბილისი)

1. ვ. ნ. რუხაძე — ჰიდროპროგნოზების სექტორის უფროსი (პლეხანოვის პრ., № 150).
2. ვ. მ. გიგინეიშვილი — ამინდის სამსახურის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ლენინის ქ., № 3).
3. ი. ა. ნაზაროვი — ჰიდროლოგიური განყოფილების უფროსი (ფოსტის ქ., № 8).
4. გ. პ. ლეჟავა — ჰიდრომეტრისა და დამუშავების სექტორის უფროსი (ერისთავის ქ., № 10).
5. ა. ა. გრძელიშვილი — კავშირგაბმულობის სექტორის უფროსი (ორჯონიკიძის ქ., 54).
6. ლ. ა. ავალოვი — ჰიდროლოგი, ინსპექტორი აღმოსავლეთ საქართველოში (ნინოშვილის ქ., № 3-ა).

გ. აკ ჩიკინგზიდან (სალიანდაგო დარგი)

1. მიხეილ გარეგინის-ძე არუთინოვი — ინჟინერი (კრილოვის ქ., № 1).

გაზ. „კომუნისტის“ რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა მოსამსადებელი კურსების

მორიგი მეცადინეობა

რომელიც უნდა შემდგარიყო დღეს, 23 თებერვალს, გადადებულია 28 თებერვლისათვის.

პასუხისმგებელი რედაქტორი
პ. ხატიაშვილი.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

23/II წარმოდგენა 124 ეღანაშაულოდ დამნაშაულენი	24/II დღის წარმოდგენა 1 აბონ. 6 წარმოდგენა არსენა დასაწყ. დღის 12 ს.	24/II საღამოს წარმოდგენა 125 არსენა

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 სათზე.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

23/II	ნაპერწკლიდან
24/II	დღის წარმოდგენა კოლმეურნის ქორწინება დასაწყისი დღის 12 საათზე
24/II	უბრალო გოგონა

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 ს-მდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის ზ. პ ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი.

23/II წარმოდგენა არ არის	24/II ძუძმ. ადგ. ტალ. № 105 აბ. სერ. № 2 წყნარი ღონი	26/II ძუძმ. ა. გ. ტალ. № 106 რიგოლეტო

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა. პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24. პ.-მგ მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04 ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“. თბილისი: კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 0—200